ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი









2019 წლის ანგარიში

მარტი, 2020 წელი

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2019 წლის ანგარიში

მარტი, 2020 წელი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

მის: საქართველო, თბილისი

დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ

ტელ: +995 32 2 51 00 51

ვებგვერდი: www.cesko.ge

ანგარიში მომზადებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) სტრუქტურული ერთეულებისა და სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის (სწავლების ცენტრი) მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე

სარჩევი

06 საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი

08 საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

13 შესავალი

15 მოკლე ალწერა

22 სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

22 მიზანი 1.1 ეფექტური მართვის უზრუნველყოფა
31 მიზანი 1.2 ადამიანური ჩვენებების განვითარება
41 მიზანი 1.3 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
45 მიზანი 1.4 იმიჯის განმტკიცება



54 სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

54 მიზანი 2.1 სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება
63 მიზანი 2.2 საარჩევნო კულტურის განვითარება
66 მიზანი 2.3 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა



76 სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

76 მიზანი 3.1 სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა
78 მიზანი 3.2 არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა
78 მიზანი 3.3 ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა
79 მიზანი 3.4 გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა



84 სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

84 მიზანი 4.1 არჩევნების ორგანიზება/ჩატარება
86 მიზანი 4.2 არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს ვადაში



90 დასკვნა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი

ძვირფასო მეგობრებო და საარჩევნო ადმინისტრაციის პარტნიორებო,

წარმოგიდგენთ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.

2019 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები ერთ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, მერის რიგგარეშე არჩევნები ხუთ მუნიციპალიტეტსა და საკრებულოს შუალედური არჩევნები – 11 მუნიციპალიტეტში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2019 წელს რიგგარეშე/შუალედური არჩევნებისთვის გავზარდეთ ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შესაძლებლობები და საერთაშორისო დამკვირვებელ და მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სარეგისტრაციო პროცედურების განხორციელება ონლაინ მეთოდის გამოყენებით შევთავაზეთ. ამასთან, ორი საარჩევნო ოლქის რვა საარჩევნო უბანზე ელექტრონული საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმატებით განვახორციელეთ ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტის შემდეგი ეტაპი.

2019 წელი მნიშვნელოვანწილად იყო წინა საერთო არჩევნების შეჯამებისა და მომდევნო 2020 წლის საარჩევნო ციკლის დაგეგმვის წელი. ამასთან, დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდიც. განვლილი ეტაპების შეფასების, მიღწეული შედეგების შეჯამების, ასევე, ჩართული მხარეების მოლოდინების, საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების და ახალი გამოწვევების გათვალისწინებით, 2019 წელს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ჩვენ შევიმუშავეთ საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი, 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა.

აღსანიშნავია, რომ განხორციელებულმა რეფორმებმა და მართვის თანამედროვე მეთოდებმა ხელი შეუწყო საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (ცესკო) მაღალი სტანდარტის ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას. მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა 2019 წელს დადასტურდა ISO 9001:2015 სერტიფიკატით. მინდა გამორჩეულად აღვნიშნო, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პირველი საარჩევნო ადმინისტრაციაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რომელსაც არჩევნების მართვის სფეროში აქვს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი.

ცესკო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მუდმივად შეიმუშავებს ახალ ინიციატივებს ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობისა და ეფექტიანი შედეგების მიღწევის მიზნით. იმისთვის, რომ ზუსტად დაგვენახა, რა მოსაზრებები და სასარგებლო წინადადებები ჰქონდათ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ თანამშრომლობის ახალი ფორმატი, „ვიმსჯელოთ ერთად“, შევთავაზეთ. ეს არის ახალი სადისკუსიო პლატფორმა, რომელიც მნიშვნელოვან

საარჩევნო საკითხებზე პოზიციების გაცვლისა და მსჯელობისთვის შეიქმნა და რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ საკითხებზე შეჯერება, რაც შესაძლოა განხორციელდეს საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებში პროცესების გასაუმჯობესებლად.



ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობა წლების განმავლობაში საარჩევნო ადმინისტრაციის მნიშვნელოვან სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს. სწორედ ამ კუთხით გაწეული საქმიანობისთვის ჩვენ, 2019 წელს მივიღეთ საერთაშორისო ჯილდო „უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დანერგვისთვის“, ასევე გადმოგვეცა მადლობის სიგელი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხში მხარდაჭერისა და წარმატებული თანამშრომლობისთვის“.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობის მიზნით, ევროპის საბჭოს (CoE) მხარდაჭერით, ცესკოში პირველად ჩატარდა გენდერული აუდიტი, რომლითაც, ძირითადად, პოზიტიურად შეფასდა ამ კუთხით ჩატარებული ღონისძიებები. ამასთან, ექსპერტების მიერ გაცემულია რეკომენდაციებიც, რომლებიც დაგვეხმარება გავაძლიეროთ საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა.

ჩვენი წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი აღიარებაა, რომ სხვადასხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციების სრული მხარდაჭერით, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია 2019 წელს ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) პრეზიდენტი გახდა, რომელსაც 2020 წლის განმავლობაში, ერთი წლის ვადით უხელმძღვანელებს.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ 2019 წელს 100 წელი შესრულდა მას შემდეგ რაც დამოუკიდებელ საქართველოში პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. 1919 წელს ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხი თავისი საყოველთაობით და პოლიტიკური კულტურის დონით ჩვენი ისტორიული სიამაყის საფუძველია. შესაბამისად, ჩვენი სამომავლო გეგმებიც, სწორედ დემოკრატიული არჩევნების პრინციპებისა და ღირებულებების დაცვით, მუდმივი გაუმჯობესება და განვითარებაა.

თამარ ჟვანია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის – „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მისია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მისიაა მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება, კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლებები.

ხედვა

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საარჩევნო სერვისებს და საარჩევნო პროცესის მთლიანობას, საზოგადოებაში სარგებლობს მაღალი ნდობით, თავის საქმიანობაში მუდმივად ნერგავს ინოვაციებს და საარჩევნო გარემოს განვითარებაზე ორიენტირებულ ინიციატივებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მართვის ეფექტურობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული შესაძლებლობების მუდმივ ზრდას.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი თანამშრომლობისთვის მადლობას უხდიან:

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES), თანამშრომლობისა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ევროპის საბჭოს (CoE), სხვადასხვა პროექტის განხორციელებისას გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის.

კანადურ არასამთავრობო ორგანიზაციას „The DELIAN Project“ 2019 წლის 19 მაისის შუალედური არჩევნების დროს ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტის შემდეგი ეტაპის განხორციელების ხელშეწყობისთვის.

ევროპის კავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არსებული ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) საქმიანობის ხელშეწყობისთვის.

საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრს (ICPS), საარჩევნო ადმინისტრაციების რიგით მეცხრე, ყოველწლიური შეხვედრის ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობას უხდის ყველა ორგანიზაციას და მათ წარმომადგენლებს, რომლებმაც 2019 წლის განმავლობაში, მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ცესკოში შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში და წვლილი შეიტანეს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაში.

ცესკო მადლობას უხდის საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თითოეულ თანამშრომელს პროფესიული სტანდარტებისა და საარჩევნო მოხელის ეთიკის ნორმების შესაბამისად შესრულებული სამუშაოსთვის.

განვითარების ისტორიები



წლების განმავლობაში განხორციელებულმა რეფორმებმა და მართვის თანამედროვე მეთოდებმა ხელი შეუწყო ცესკოში ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას. მართვის სისტემის საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა ISO 9001:2015 სერტიფიკატის მოპოვებით დადასტურდა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია პირველი საარჩევნო ადმინისტრაციაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის, რომელიც ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის – ISO 9001:2015 მფლობელი გახდა.

2019 წელს, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის (ACEEEO) პრეზიდენტი გახდა. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ACEEEO-ს ერთი წლის ვადით უხელმძღვანელებს. შესაბამისად, ასოციაციის 29-ე ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია 2020 წელს გაიმართება საქართველოში. აღნიშნული გადაწყვეტილება ACEEEO-ს გენერალური ასამბლეის შეხვედრაზე იქნა მიღებული.



ავსტრიული ორგანიზაციის – იესელის ფონდის (Essl Foundation) მიერ ინიცირებული პროექტის (Zero Project) ფარგლებში, ცესკო დაჯილდოვდა ნომინაციაში „ინოვაციური პრაქტიკა 2019“ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში წარმატებული პრაქტიკის – უსინათლო ამომრჩევლებისთვის საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმის დანერგვისთვის.



2019 წლის 28 თებერვალს, ასოციაციამ „ანიკა“, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების საკითხში მხარდაჭერისა და წარმატებული თანამშრომლობისთვის, ცესკოს გადასცა მადლობის სიგელი.

2019 წლის 3 მაისს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) სწავლების ცენტრს 2018 წელს საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სპეციალური სიგელი გადასცა.



2019 წელს ცესკომ შეიმუშავა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა. განსაზღვრა ხედვა, მისია, ღირებულებები, ასევე – სტრატეგიული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები.

2019 წელს ჩატარდა ცესკოს აპარატის სტრუქტურული რეორგანიზაცია, საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტისა და ამომრჩეველთა სიების ფორმირების და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ბაზაზე, შეიქმნა შემდეგი სამი დეპარტამენტი: ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი, საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი. ასევე, სახელობითი და ფუნქციური ცვლილება შევიდა შიდა აუდიტის დეპარტამენტში და ის ჩამოყალიბდა როგორც – შიდა აუდიტის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი. რეორგანიზაციიდან გამომდინარე, დეპარტამენტების რაოდენობა გაიზარდა ერთით და გახდა 10, ხოლო განყოფილებების რაოდენობა არის უცვლელი – 13. ცვლილებების შესაბამისად, საშტატო რიცხოვნობა შემცირდა სამით და გახდა 123.

2019 წელს, პირველად, ცესკომ, ევროპის საბჭოსთან (CoE) თანამშრომლობით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, ჩაატარა გენდერული აუდიტი, რაც მოიცავდა საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დოკუმენტების ანალიზს, თანამშრომლებთან ინტერვიუებსა და სემინარის ჩატარებას.

2019 წელს განხორციელდა ხუთი საგანმანათლებლო პროექტი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 12 538-მა პირმა:

არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი – მონაწილეობა მიიღო 64 მუნიციპალიტეტის 145 საჯარო სკოლის XI-XII კლასის 2 763-მა მოსწავლემ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული 12 მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების XI-XII კლასების 457-მა მოსწავლემ;

საარჩევნო სამართალი – მონაწილეობა მიიღო 11 უნივერსიტეტის 635-მა სტუდენტმა;

ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი – მონაწილეობა მიიღო 12 უნივერსიტეტის 866-მა სტუდენტმა;

საარჩევნო განვითარების სკოლა – მონაწილეობა მიიღო 26 მუნიციპალიტეტის 463-მა ახალგაზრდამ;

საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – მონაწილეობა მიიღო 8 356-მა, ხოლო სერტიფიკატი მიიღო 7 811-მა მონაწილემ.

2019 წელს, ცესკომ, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შესთავაზა ახალი ინიციატივა – „ვიმსჯელოთ ერთად“. ეს არის ახალი სადისკუსიო პლატფორმა, რომელიც მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე პოზიციების გაცვლისა და მსჯელობისთვის შეიქმნა. აღნიშნულ ფორმატში ცესკოში გაიმართა ხუთი შეხვედრა.

შესავალი

2019 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა (სწავლების ცენტრი) საქმიანობა წარმართეს საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საარჩევნო ადმინისტრაციის 2015-2019 წლების სტრატეგიული და 2019 წლის სამოქმედო გეგმების შემდეგი პრიორიტეტების შესაბამისად: ინსტიტუციური გაძლიერება, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება, საარჩევნო გარემო და საარჩევნო ოპერაციები.

საქმიანობების განხორციელების პროცესში საარჩევნო ადმინისტრაცია ხელმძღვანელობდა გაცხადებული სამოქმედო პრინციპებით: დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა, პროფესიონალიზმი, ანგარიშვალდებულება და ინკლუზიურობა. 2019 წლის 19 მაისს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა:

- მარნეულის, ზესტაფონის, ჭიათურის, ზუგდიდისა და ხულოს მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები;
- საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით №1 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში გამართული საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გამართული საგარეჯოს, ახმეტის, ადიგენის, ზესტაფონის, ჭიათურის, ტყიბულის, წყალტუბოსა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნები.

2019 წლის 27 ოქტომბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით, ლაგოდეხის, ადიგენისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების საკრებულოების 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნები.

2019 წელს ცნობილი გახდა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული, საზოგადოებრივი აზრის კვლევის[1] შედეგები, რომელთა თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნები მოსახლეობამ საერთო ჯამში დადებითად შეაფასა. რესპონდენტების შეფასებით, არჩევნების დღეს მათი საარჩევნო უბანი მოწესრიგებული იყო (92%), არჩევნებზე პასუხისმგებელი პირები კარგად იყვნენ მომზადებულები (81%), საარჩევნო უბნები გადაჭედილი არ იყო (83%) და გარემო შემავიწროებელი/შემაშინებელი არ იყო (90%). ცესკოს მიმართ დადებითი და საშუალო განწყობები ჯამში გამოხატა 78%-მა, ხოლო უარყოფითი – მხოლოდ 9%-მა. რაც შეეხება არჩევნების მეორე ტურს, დადებითი და საშუალო განწყობები გამოხატა 75%-მა, ხოლო უარყოფითი – 15%-მა.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის მიერ 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობების აღწერას.

1 კვლევა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, CRRC-საქართველოს მიერ 2018 წლის 6-20 დეკემბრის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2 205 პირისპირი ინტერვიუს სახით ჩატარდა.

მოკლე ალწერა

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა საოლქო საარჩევნო კომისიების სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზე მათ წარმოადგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები. შემუშავდა და დამტკიცდა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა. ცესკომ წარმატებით გაიარა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის სასერტიფიკაციო აუდიტი, რომლის შესაბამისად დადასტურდა, რომ ცესკოს ხარისხის მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის – ISO 9001:2015 მოთხოვნებს. ჩატარდა ცესკოს ბალანსის 1 625 ანგარიშის (ფულადი დოკუმენტების) ინვენტარიზაცია. ელექტრონული არქივის პროგრამას დაემატა ციფრულ ფორმატში გადაყვანილი 12 811 დოკუმენტი.

ადამიანური რესურსების მართვის გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა 2016-2018 წლებში ცესკოს აპარატში სტაჟირების პროგრამაში მონაწილე პირების გამოკითხვა, სტაჟიორებმა პროგრამა შეაფასეს კარგად და ძალიან კარგად. მომზადდა 2016-2018 წლებში სერტიფიცირებული პირების, საგანმანათლებლო პროგრამების „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის ანალიზის დოკუმენტი. თანამშრომელთა გადამზადების გეგმის მიხედვით ჩატარდა შვიდი ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 231-მა თანამშრომელმა. 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის 12 საოლქო საარჩევნო კომისიის 31 ხელმძღვანელი პირი და იურისტი გადამზადდა სამართლებრივი წერისა და დავების გადაწყვეტის საკითხებში. საარჩევნო ადმინისტრაციის 20 წარმომადგენელი გადამზადდა მედიასთან ურთიერთობის საკითხებში, მათ შეიძინეს მედიასპიკერის უნარები. ცესკოში დაინერგა მენტორინგის პროგრამა, რვა მენტორმა გაუწია მენტორინგი 11 შეგირდს. ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა, რომელიც ჩააბარა 224-მა მონაწილემ. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს გაიხსნა ახალი საგამოცდო ცენტრი №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 26 საერთაშორისო ღონისძიებასა და 18 სადამკვირვებლო მისიაში.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ შესაძლებლობები, პროგრამას დაემატა ახალი მოდულები და ქვემოდულები. 2019 წელს ჩატარებული შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის ცესკომ გაზარდა ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის შესაძლებლობები. გარდა პარტიების მიერ დანიშნული საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისა და ყველა დონის საარჩევნო კომისიებში წევრების, რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელ ორგანიზაციების დამკვირვებლებისა, ცესკოში რეგისტრირებულ მედიაორგანიზაციებს და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს მიეცათ ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის გამოყენებით, დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის შესაძლებლობა. შეიქმნა და ტესტირების რეჟიმში ამოქმედდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამა (დაეპ). 2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 528 329 ლარი, ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 771 217 ლარის შესყიდვები, ხოლო გამარტივებული შესყიდვების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებაა 757 112 ლარი. საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობამ შეადგინა 46, წლის განმავლობაში არცერთი ტენდერი არ გასაჩივრებულა, ტენდერების შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 64 732 ლარი.

იმიჯის განმტკიცების მიზნით, შემუშავდა და განხორციელდა კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა, რომლის შესაბამისად 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები. აღინიშნა პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისთავი. მომზადდა და გამოიცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულ ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემა – „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორ საკონსულტაციო ღონისძიებაში და გამოცდილება გაუზიარეს სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციას. საქართველოში ჩატარდა საარჩევნო ადმინისტრაციების მეცხრე ყოველწლიური შეხვედრა „არჩევნების მთლიანობა – კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციის სანდოობა ციფრულ ეპოქაში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 19 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე რვა საერთაშორისო ორგანიზაციის, საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სამი კომპანიის, ასევე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების 88 წარმომადგენელმა. საანგარიშო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ორგანიზება გაუწიეს და მონაწილეობა მიიღეს შვიდ სოციალურ აქციაში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლების მიზნით, განხორციელდა ხუთი საგანმანათლებლო პროექტი, რომლებშიც, საერთო ჯამში, მონაწილეობა მიიღო 12 538-მა პირმა. სასწავლო კურსები ჩაატარეს სწავლების ცენტრის მიერ სპეციალურად მომზადებულმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა. სასწავლო პროექტები განხორციელდა ყველა მუნიციპალიტეტში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ და მაღალმთიან რეგიონებში. საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განახლებული კონცეფციით ჩატარდა, კამპანიის ფარგლებში გამოიკითხა 2 331 მოქალაქე, გამოკითხულთა 39.55%-მა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს ძალიან კარგად, 37.58%-მა – კარგად შეაფასა.

საარჩევნო კულტურის განვითარების მიზნით, სწავლების ცენტრმა განახორციელა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ახალი საინფორმაციო-სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 34 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 62-მა წარმომადგენელმა. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა თემაზე – „პროექტის იმპლემენტაციის ფაზები, მონიტორინგი და ანგარიშგება“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 39 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 43-მა წარმომადგენელმა. სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის ექვსჯერ გაიმართა ღია კარის დღე.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, ცესკოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით, სწავლების ცენტრმა, ჩაატარა ორი საგრანტო კონკურსი, სულ დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 86 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა ჯამში 2 325 305.51 ლარი. სხვადასხვა საარჩევნო საკითხთან დაკავშირებით ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის, ცესკოში გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის, ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფების შეხვედრები. შეიქმნა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ახალი სადისკუსიო პლატფორმა „ვიმსჯელოთ ერთად“, რომლის ფარგლებში სხვადასხვა საარჩევნო საკითხზე გაიმართა ხუთი შეხვედრა.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწის მიზნით, იმ 12 საოლქო საარჩევნო კომისიის[2] წევრებისთვის, სადაც იმართებოდა 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნები, კერძოდ 31 წარმომადგენლისთვის ჩატარდა სასწავლო კურსი „საარჩევნო დავები“.

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, როგორც დროებითი ზომა, მომზადდა და საქართველოს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადების სახით წარედგინა ცვლილების პროექტი, რომელიც ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, წინასწარი განაცხადის საფუძველზე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი ერთ-ერთი ადაპტირებული საარჩევნო უბნის არჩევის შესაძლებლობას იძლევა.

გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციაში პირველად, ჩატარდა გენდერული აუდიტი, რაც მოიცავდა საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დოკუმენტების ანალიზს, თანამშრომლებთან ინტერვიუებსა და სემინარის ჩატარებას. სამი საგანმანათლებლო პროექტის – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და სემესტრული სასწავლო პროგრამა „საქართველოს საარჩევნო სამართალი“ სასწავლო მოდულებში აისახა გენდერული ასპექტები.

2 12 საოლქო საარჩევნო კომისია: №1 მთაწმინდის, №11 საგარეჯოს, №18 ახმეტის, №22 მარნეულის, №38 ადიგენის, №51 ზესტაფონის, №56 ჭიათურის, №57 ტყიბულის, №58 წყალტუბოსა და №60 ოზურგეთის, №67 ზუგდიდის, №84 ხულოს.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე და 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნების ორგანიზება/ჩატარების მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკების შესაბამისად. ცესკომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიშები, გარდა ამისა, ანგარიშები გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე. კანონმდებლობით განსაზღვრული პასუხისმგებელი უწყებებიდან გადმოცემული მონაცემების დამუშავების შედეგად, ამომრჩეველთა ერთიანი სია განახლდა შვიდჯერ.

არჩევნების შედეგების უმოკლეს დროში გასაჯაროების მიზნით, 2019 წელს გამართული შუალედური და რიგგარეშე არჩევნების წინასწარი და საბოლოო შედეგები, ცესკომ საზოგადოებას, დროულად მიაწოდა. 2019 წლის 19 მაისს №57 ტყიბულის საარჩევნო ოლქის №57.01.03 ტყიბულის ქალაქისა და №58 წყალტუბოს საარჩევნო ოლქის №58.04 გუმბრას თემის ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში გამართული ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედური არჩევნებისთვის ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელდა. ცესკოში ფუნქციონირებდა სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი, რომლის მომსახურებით 2019 წელს მოქალაქეებმა ისარგებლეს 4 538-ჯერ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 1

ინსტიტუციური გაძლიერება




9TH ANNUAL MEETING OF ELECTION MANAGEMENT BODIES
USAID
ICPS
Independent Election Commission of Jordan

სტრატეგიული პრიორიტეტი 1: ინსტიტუციური გაძლიერება

მიზანი 1.1 ეფექტური მართვის უზრუნველყოფა

საქმიანობა 1.1.1 საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის გადახედვა/დახვეწა

საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვასა და ანგარიშგებას ახორციელებს საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის შესაბამისად. ვინაიდან ცესკოში შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ამოქმედდა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამა, საჭირო გახდა აღნიშნულ წესში ცვლილებების განხორციელება. თუმცა, იმის გამო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ საანგარიშო პერიოდში ახალი 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა შეიმუშავა განსხვავებული სტრუქტურით, საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა პროგრამის უკვე შემუშავებულ ვერსიაში და შესაბამისად შეიცვალა მისი ამოქმედების ვადა. პროგრამის ამოქმედება და წესში ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია 2020 წელს.

2019 წლის 14 ნოემბერს, ჩატარდა ტრენინგი ანგარიშგების საკითხებზე. დაგეგმილმა აქტივობამ საჭიროებიდან გამომდინარე, განიცადა ცვლილება და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების ნაცვლად ტრენინგი ჩაუტარდათ საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომლებს. მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: საარჩევნო ადმინისტრაციის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესი, ანგარიშის წარმოდგენის ვადები, სტრუქტურა, შინაარსი, ფორმა. ტრენინგს დაესწრო საოლქო საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი 16 თანამშრომელი, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ აღნიშნული ტრენინგის ჩატარებას საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებისთვის.

საქმიანობა 1.1.2 ანგარიშების მომზადება/წარდგენა

საანგარიშო პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის მიხედვით, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა, სწავლების ცენტრმა და 73-მა საოლქო საარჩევნო კომისიამ ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინეს ანგარიშები განხორციელებული საქმიანობების შესახებ. წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე, ცესკოს ხელმძღვანელებსა და წევრებს წარედგინათ 2018 წლის წლიური და 2019 წლის კვარტალური კონსოლიდირებული ანგარიშები.

2019 წლის 12 აპრილს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის 2018 წლის კონსოლიდირებული ანგარიში წარუდგინა ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებების, პოლიტიკური პარტიებისა და მედიის 63 წარმომადგენელს.

საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ცესკომ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა:

- საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ანგარიში;
- 2019 წლის 19 მაისის რიგგარეშე/შუალედური არჩევნების ანგარიში;
- 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნების ანგარიში.

ცესკომ მოამზადა და ინფორმაციის სახით, შესაბამის ინსტიტუციებს გაუგზავნა შემდეგი დოკუმენტები:

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს

- „2017 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 19 ივლისის №3148-რს დადგენილების მე-16 პუნქტის შესაბამისად, ცესკოს მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში;
- 2018 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს

- საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, 2018 წელს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული საქმიანობისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

საგარეო საქმეთა სამინისტროს

- „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2014-2018 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიში.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს

- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, 2017-2018 წლებში, პანკისის ხეობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ, პანკისის ხეობაში მცხოვრები ამომრჩევლების მიმართ, 2019-2020 წლებში დაგეგმილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, იანვარი-ივნისის პერიოდში და 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში, ასევე სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2020 წლის სამოქმედო გეგმა.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს

- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2018 წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ განხორციელებული საქმიანობის ანგარიში;
- სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმის (2017, 2018, 2019 წლები) მიხედვით, მათ შორის 2017-2018 წლებში პანკისის ხეობაში განხორციელებული საქმიანობის ანგარიში და პანკისის ხეობაში მცხოვრები ამომრჩევლების მიმართ 2019-2020 წლებში დაგეგმილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმა;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2019 წლის სამოქმედო გეგმის“ მიხედვით, იანვარი-ივნისის პერიოდში, 2019 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში.

ფინანსთა სამინისტროს

- საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 და 2019 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები;
- საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.


შემოსავლების სამსახურს

- ყოველთვიური ინფორმაცია განაცემთა და საშემოსავლო გადასახადის შესახებ.

სტატისტიკის სამსახურს

- ყოველთვიური ინფორმაცია, დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობისა და მათზე გაცემული შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობების შესახებ, რეგიონების შესაბამისად.

საქმიანობა 1.1.3 საარჩევნო ადმინისტრაციის პრიორიტეტებისა და საქმიანობის შესახებ ბროშურის მომზადება



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიღწევების შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის, ცესკო ყოველწლიურად ამზადებს საინფორმაციო ბროშურას. 2019 წელს, ბროშურა მიეძღვნა საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2015-2019 წლების სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში მიღწეული შედეგების აღწერას: საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის საერთაშორისო აღიარება, ინსტიტუციური გაძლიერება, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება, საარჩევნო გარემო, საარჩევნო ოპერაციები.

საქმიანობა 1.1.4 საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობის გეგმის შემუშავება

საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმის საფუძველზე, მომზადდა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცდა საოლქო საარჩევნო კომისიების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ განსახორციელებელ საქმიანობებს როგორც არასაარჩევნო, ისე საარჩევნო პერიოდებში. აღსანიშნავია, რომ გეგმის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიებმა ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

საქმიანობა 1.1.5 მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმის შესრულება და მომავალი წლის გეგმის პროექტის განხილვა

2019 წლის 29 ნოემბერს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც ცესკოს ხელმძღვანელ პირებსა და წევრებს ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის ხელმძღვანელებმა წარუდგინეს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი ანგარიშები. ხოლო, 2019 წლის 10-13 დეკემბერს, კახეთის რეგიონში, წინანდალში, ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული და 2020 წლის სამოქმედო გეგმების პროექტები. გასვლითი შეხვედრა გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმისგან განსხვავებით, 2020 წლის გეგმის ფორმაში შევიდა სტრუქტურული და ფუნქციური ხასიათის ცვლილებები და ის, როგორც მოკლევადიანი დაგეგმვის დოკუმენტი, მეტად ორიენტირებულია სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე, მასში მკაფიოდ არის გაწერილი სტრატეგიული ამოცანების შედეგის ინდიკატორები, მათ მისაღწევად დაგეგმილი საქმიანობები, საქმიანობების შესრულების ინდიკატორები, განხორციელების ვადები, საქმიანობის შესრულებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა ცესკოს 2019 წლის 26 დეკემბრის №213/2019 განკარგულებით.

საქმიანობა 1.1.6 საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავება

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული დაგეგმარების ძირითადმა გუნდმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცესკოს პრეს-სპიკერი ანა მიქელაძე, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ექსპერტის ჩართულობით, შეიმუშავა 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტი, რომლის მიხედვით განისაზღვრა საარჩევნო ადმინისტრაციის ხუთი სტრატეგიული პრიორიტეტი:

- საარჩევნო კულტურა და განათლება;
- არჩევნების სანდოობა და უსაფრთხოება;
- საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგიები;
- ინკლუზიური საარჩევნო გარემო;
- მართვის ეფექტიანობა და ინსტიტუციური გაძლიერება.

2019 წლის 16 ოქტომბერს, გაიმართა შეხვედრა, სადაც ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დამტკიცებამდე, წარუდგინა 2020-2023 წლების სტრატეგიულ გეგმა. ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია როგორც სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის, ისე სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ახალი სტრატეგიული გეგმის პროექტი, დამტკიცებამდე, სტრატეგიული დაგეგმარების გუნდის ხელმძღვანელმა გააცნო ცესკოში შექმნილი შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფების წევრებს.

საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმა დამტკიცდა ცესკოს 2019 წლის 26 დეკემბრის №212/2019 განკარგულებით.



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის წარდგენა.

საქმიანობა 1.1.7 ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვა

საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის მოთხოვნების შესაბამისად, ცესკოში ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საკოორდინაციო საბჭომ შეიმუშავა ხარისხის მართვის პოლიტიკა, ხარისხის განვითარების 2019 წლის სტრატეგიული პროგრამა და მეთოდური ინსტრუქციები.

საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის მოთხოვნების შესაბამისად, ცესკოში ხარისხის მართვის სისტემის შემუშავებისა და დანერგვის საკოორდინაციო საბჭომ შეასრულა სასერტიფიკაციო აუდიტისთვის განსახორციელებელი ყველა სამუშაო. მომზადდა მენეჯმენტის ანალიზის ანგარიში და 2019 წლის აუდიტის გეგმა. დამტკიცდა ხარისხის სახელმძღვანელო. შპს „მენეჯმენტის სისტემების“ აუდიტორის მონაწილეობით ჩატარდა ISO შიდა აუდიტი.

ცესკომ წარმატებით გაიარა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015-ის სასერტიფიკაციო აუდიტი. აუდიტი ჩაატარეს საერთაშორისო სააკრედიტაციო გერმანული ორგანოს „ტუვ ზუდის“ TÜV SÜDDEUTCHLAND AG (TÜV SÜD) წარმომადგენლებმა. აუდიტის შედეგად დადასტურდა, რომ ცესკოს ხარისხის მართვის სისტემა სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტის – ISO 9001:2015 მოთხოვნებს და ცესკოს გადმოეცა აღნიშნული სერტიფიკატი.

საქმიანობა 1.1.8 ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება

საარჩევნო ადმინისტრაციაში შიდა კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, შეიქმნა და სატესტო რეჟიმში ამუშავდა ელექტრონული შიდა საკომუნიკაციო ქსელი – პორტალი http://hrportal.cec.gov.ge/, რომლის გამოყენებისა და ინფორმაციის განთავსების წესი დამტკიცდა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით. აღნიშნული პორტალი საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებს მისცემს დაგეგმილი აქციების, საგანმანათლებლო პროგრამების, შეხვედრების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სიახლეების, ბიზნეს პროცესებისა და სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას.

ვინაიდან, პორტალის მომზადება, წესის შემუშავება და სატესტო რეჟიმში ამუშავება განხორციელდა 2019 წლის დეკემბერში, შეუძლებელი იყო პორტალის მეშვეობით ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობის შეფასება, რის გამოც ამ ნაწილში საქმიანობა ვერ განხორციელდა სრულყოფილად. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიებში ბიზნეს პროცესების იდენტიფიცირებას, საქმიანობის განხორციელება გადატანილი და გათვალისწინებულია 2020 წლის სამოქმედო გეგმაში.

საქმიანობა 1.1.9 თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის კვლევის ჩატარება

2019 წლის 17-24 ივნისს, ცესკოს აპარატში ჩატარდა თანამშრომელთა კმაყოფილებისა და მოტივაციის კვლევა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ცესკოს აპარატის 66-მა თანამშრომელმა, რაც საერთო რაოდენობის 43%-ია. კვლევაში მონაწილე თანამშრომლების 56-მა პროცენტმა შეაფასა საერთო სამუშაო კმაყოფილება. საშუალო კმაყოფილების დონე განისაზღვრა 3.8 ქულით, რაც ნიშნავს, რომ თანამშრომლები უფრო კმაყოფილები არიან, ვიდრე უკმაყოფილოები.

თანამშრომლებმა შეაფასეს სამუშაო მოტივაციის დონე, კვლევაში მონაწილე თანამშრომლების 74%-მა შეაფასა საკუთარი სამუშაო მოტივაციის დონე 3.5 ქულით, რაც მიანიშნებს, რომ ისინი არიან მოტივირებულები. თანამშრომლებმა დაასახელეს შემდეგი სამუშაო მოტივატორები: სამუშაო გარემო, კოლეგებთან ურთიერთობა, შესრულებული სამუშაო, მატერიალური წახალისება, აღიარება, კარიერული წინსვლა, არამატერიალური წახალისება, სამსახურებრივი მიღწევები/წარმატებული პროექტები. დასახელდა სხვა მოტივატორები: ხელფასის ზრდა, მივლინება, ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობა.

საქმიანობა 1.1.10 ადმინისტრაციის ქონების/მარაგების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ შერჩევითი და სავალდებულო ინვენტარიზაციის გეგმის თანახმად, დაასრულა ცესკოს ბალანსის 1 625 ანგარიშის (ფულადი დოკუმენტების) ინვენტარიზაცია. შერჩევითი ინვენტარიზაციის შედეგები წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს.

მიმდინარეობს მუშაობა ცესკოს ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგებისა და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის შესასრულებლად. კერძოდ, განხორციელდა ცესკოს ადმინისტრაციული შენობის სამუშაო ოთახებში არსებული აქტივების აღწერა. აღნიშნული ბრძანების თანახმად, საინვენტარიზაციო პროცესი დასრულდება 2020 წლის მაისში.

საქმიანობა 1.1.11 არჩევნების ხარჯების ანალიზი

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის და 2019 წლის 19 მაისის რიგგარეშე/შუალედური არჩევნების შემდეგ, ცესკომ განახორციელა ხარჯების ანალიზი და სტანდარტის მიხედვით მომზადებული ინფორმაცია განათავსა ცესკოს ვებგვერდზე www.electioncosts.cec.gov.ge.

საქმიანობები 1.1.12 და 1.1.14 საარჩევნო ადმინისტრაციისა და ცესკოს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციის შიდა აუდიტის განხორციელება. შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი

შიდა აუდიტორული შემოწმება ჩატარდა რვა საოლქო საარჩევნო კომისიასა და სწავლების ცენტრში, რომლის შესახებ შედგა საბოლოო ანგარიში, ხოლო აუდიტორული შემოწმების ანგარიშები რეკომენდაციებით წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელ პირებს. რეკომენდაციების გათვალისწინება და შესრულების მონიტორინგი დაგეგმილია 2020 წელს. ასევე შემუშავდა და ცესკოს თავმჯდომარეს წარედგინა 2020 წლის შიდა აუდიტის გეგმა.

საქმიანობა 1.1.13 2018 წელს ჩატარებული არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში და საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი ინციდენტების ანალიზი

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიებსა და საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი ინციდენტების ანალიზის ჩასატარებლად, შემუშავდა კითხვარი, რომელიც შესავსებად დაეგზავნა საოლქო საარჩევნო კომისიებს. 45 საოლქო საარჩევნო კომისიიდან კითხვარის მიხედვით მიღებული ინფორმაციის დამუშავება დასრულდება 2020 წელს.

ცესკოს ელექტრონული არქივი

საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციური მეხსიერების სრულყოფისა და მუდმივად შესანახი დოკუმენტაციის ერთიანი ბაზის წარმოების მიზნით, ელექტრონული არქივის პროგრამაში, ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი და ინტეგრირებული იყო 12 811 დოკუმენტი. საანგარიშო პერიოდში დამატებული დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ელექტრონული არქივის პროგრამაში შესაძლებელია შვიდი დასახელების 86 361 დოკუმენტის მოძიება. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (1).

ცხრილი 1.

N	დოკუმენტის დასახელება	დოკუმენტის შედგენის წლები	დოკუმენტის რაოდენობა
1	ცესკოს დადგენილება	1995-2019	1450
2	ცესკოს განკარგულება	2000-2019	5875
3	ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება	2001-2018	1 896
4	ცესკოს თავმჯდომარის ბრძანება	2001-2018	11389
5	ცესკოს მდივნის განკარგულება	2006-2018	8115
6	ცესკოს სხდომის ოქმი	1999-2019	1379
7	არჩევნების შემაჯამებელი ოქმი	2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	4709
		2016 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	6821
		2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	7 218
		2014 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	2519
		2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	2 206
		2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	3 733
		2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	7 774
		2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 002
		2010 წლის ქ. თბილისის მერის არჩევნები	829
		2008 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნები	5 756
		2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნები	6 188
		2004 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები	2 502
		ჯამი	**86 361**

მიზანი 1.2 ადამიანური რესურსების განვითარება

საქმიანობა 1.2.1 ცესკოს სტაჟირების დასაქმების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2016-2018 წლებში ცესკოს აპარატში სტაჟირების პროგრამაში მონაწილე პირების გამოკითხვა. 57 სტაჟიორიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 43-მა. მათ ხუთ-ბალიანი შკალით შეაფასეს სტაჟირების პროგრამა, საშუალო შეფასების ქულა განისაზღვრა 4.65, რაც გულისხმობდა, რომ სტაჟიორები პროგრამას აფასებენ ძალიან კარგად. სტაჟიორებმა ასევე შეაფასეს, თუ რამდენად სასარგებლო იყო სტაჟირების პროგრამა მათი პროფესიული და კარიერული განვითარებისთვის. სტაჟირების პროგრამა ამ კუთხით შეფასდა 4.42 ქულით (კარგი შეფასება).

გამოკითხულთა ინფორმაციით, სტაჟირების შემდეგ საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვს 33 პირს, სხვა სფეროში – 23-ს, ექვს პირს მონაწილეობა აქვს მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ სასწავლო პროგრამებში. გამოკითხვაში მონაწილე სტაჟიორებმა გამოთქვეს პროგრამის გასაუმჯობესებლად პროფესიული და კარიერული მიმართულებით შემდეგი სურვილები: მეტი ჩართულობა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობაში, სტაჟირების პერიოდის გაზრდა, სპეციალური კურსის შეთავაზება სტაჟიორებისთვის, სტაჟიორის მიერ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების შეფასება.

გამოვლინდა, რომ 57 სტაჟიორიდან შვიდს (12%) აქვს მიღებული საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი.

ცესკოს აპარატში სტაჟირების პროგრამა სამი წლის ჭრილში შეფასდა დადებითად, მაგრამ მიუხედავად აღნიშნული შეფასებისა, პროგრამის სტაჟიორთა პროფესიულ ინტერესებზე მოსარგებად შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება გააუმჯობესებს ცესკოს აპარატში სტაჟირების პროგრამას.

საქმიანობა 1.2.2 სერტიფიცირებულ პირთა და საგანმანათლებლო პროგრამების (საარჩევნო განვითარების სკოლა, ადმინისტრატორის კურსები) დასაქმების ანალიზი

ცესკომ და სწავლების ცენტრმა დაამუშავეს 2016-2018 წლებში სერტიფიცირებული პირების, საგანმანათლებლო პროგრამების „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა, რომლის საფუძველზეც სწავლების ცენტრმა მოამზადა საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი დასაქმების სტატისტიკის ანალიზის დოკუმენტი. დოკუმენტი მოიცავდა ინფორმაციას 2016-2018 წლებში სერტიფიცირებულ და საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილე პირთა საარჩევნო ადმინისტრაციაში დასაქმების სტატისტიკის დასაქმების ადგილისა და ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტის მიხედვით, დასაქმების გენდერულ სტატისტიკას, დასაქმების ფაქტებს პროგრამების, დასაქმების

ადგილისა და ამრჩევი/დამნიშნავი სუბიექტის მიხედვით. სწავლების ცენტრის დირექტორმა ანალიზის შედეგები წარუდგინა ცესკოს წევრებსა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს.



საქმიანობა 1.2.3 თანამშრომელთა გადამზადების გეგმის განხორციელება

ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა განვითარების/ტრენინგების 2019 წლის გეგმა ეფუძნება ტრენინგების საჭიროებათა ანალიზს. აღნიშნული გეგმის მიხედვით საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შვიდ სასწავლო კურსში:

- 4 მონაწილე – eHRMS სასწავლო კურსი;
- 5 მონაწილე – სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო კურსი;
- 9 მონაწილე – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის მიერ ორგანიზებული „სახელმწიფო შესყიდვების სასწავლო კურსი“;
- 20 მონაწილე – კომპიუტერული უნარების დახვეწა (Excel, Outlook);
- 149 მონაწილე – armasi.cec.gov.ge პროგრამის ტრენინგი, ახალი მოდულები და სიახლეები;
- 24 მონაწილე – ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება;
- 20 მონაწილე – მედიასპიკერის უნარების განვითარება.

გარდა გეგმით გათვალისწინებული ტრენინგებისა, ცესკოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ტრენინგებსა და სასწავლო პროგრამებში:

- ფრიდრიხ ნაუმანის ფონდისა და გადასახადის გადამხდელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე „ეფექტური საჯარო მენეჯმენტი“ (საფინანსო და იურიდიული დეპარტამენტების თანამშრომლები);
- მექსიკის ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტის (INE) მიერ ორგანიზებულ ხუთდღიან საერთაშორისო სპეციალიზებულ კურსში – „სოციალური მედია, საარჩევნო კამპანია და ინფორმირებული ამომრჩეველი“ (საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელი);

- საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ევროპის რეგიონული ოფისის ორგანიზებითა და ტალინის ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარებულ სასწავლო კურსში – „საარჩევნო ტექნოლოგიები და კიბერჰიგიენა. სისტემური გამართულობა და ონლაინ უსაფრთხოების გაუმჯობესება“ (იურიდიული დეპარტამენტის თანამშრომელი);
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს ინიციატივითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შექმნილი „სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგებისა და მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმის“ (AP Monitoring) ტრენინგში (კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის თანამშრომელი).

საქმიანობა 1.2.4 საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა კორპუსის განახლება და გადამზადება

საარჩევნო მიმართულებით სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად პოტენციური ტრენერების რესურსის გამოვლენა-განვითარების მიზნით, სწავლების ცენტრმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამა „ტრენერის პროფესიული უნარების განვითარება“. მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა 63 მუნიციპალიტეტის მიხედვით შემოსული 233 განაცხადის განხილვის, ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით შეირჩა 88 მონაწილე. 2019 წლის 1-10 აპრილის პერიოდში, განხორციელდა ოთხდღიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს:

- სპეციალიზებული სწავლების ბლოკი – დაეთმო ტრენერის უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ საკითხებს: ტრენინგის დაგეგმვა და სტრუქტურა, ტრენინგის პროგრამის დიზაინი, ტრენინგის ჩატარების მეთოდოლოგია, ტრენინგის შეჯამება/შეფასების მექანიზმები, ტრენერის სახელმძღვანელოს/გზამკვლევის შედგენისა და გამოყენების ტექნიკა, პრეზენტაციის წარდგენა;
- პროფილური სწავლების ბლოკი – დაეთმო შემდეგი ძირითადი საკითხების განხილვა-შესწავლას: დემოკრატიული არჩევნების საერთაშორისო სტანდარტები და არჩევნების სახელმძღვანელო პრინციპები, არჩევნებში ჩართული მხარეების როლი, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობის პრაქტიკული ასპექტები, ხმის მიცემის პროცესში ამომრჩევლების საარჩევნო უფლებების რეალიზების ხელშეწყობის პროცედურული მექანიზმები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრის ეტიკეტი და ქცევის ნორმები.

ტრენინგები ორ ნაკადად, ოთხ ჯგუფს ჩაუტარდა. გადამზადდა 87 მონაწილე, მათ შორის 70 (81%) იყო ქალი და 17 (19%) – კაცი. მონაწილეები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სასწავლო პროგრამა, ჩაირიცხნენ საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა რეზერვში.

საქმიანობა 1.2.5 საარჩევნო ადმინისტრაციაში ახლად დანიშნული/არჩეული თანამშრომლებისთვის, საორიენტაციო სასწავლო კურსის „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი კურსი“ განხორციელება

ცესკოში დანერგილი სისტემის შესაბამისად, კონკურსის შედეგად შერჩეული თანამშრომლებისა და სტაჟიორებისთვის, ჩატარდა ორი საორიენტაციო კურსი „არჩევნების მიმოხილვა და პროცედურების ზოგადი სასწავლო კურსი“, რომლის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევნების ისტორიული ექსკურსი საქართველოში, არჩევითი სახელმწიფო ორგანოები და საარჩევნო სისტემა, დემოკრატიული არჩევნების სახელმძღვანელო პრინციპები, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრუქტურა და საქმიანობის ზოგადი მიმოხილვა, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის პრიორიტეტები საარჩევნო ციკლის ჭრილში, არჩევნებში ჩართული მხარეები და მათი როლი. აღნიშნული სასწავლო კურსი გაიარა 31-მა ახალმა თანამშრომელმა და სტაჟიორმა. ისინი ასევე გაეცნენ საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის სტანდარტს, პროცედურებს, ეთიკის კოდექსსა და შინაგანაწესს.

ახლადდანიშნულ თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eDocument) მომხმარებლის, პროგრამის მოხმარების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებზე. მათ მიენიჭათ საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სტატუსი და მიეწოდათ საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მოხმარების სახელმძღვანელო და ინსტრუქცია.

საქმიანობა 1.2.6 საოლქო საარჩევნო კომისიების შესაბამის წევრთა გადამზადება სამართლებრივ წერაში

2019 წლის 20 აპრილს, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს ორი შეხვედრა იმ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მდივნებისა და იურისტებისთვის, სადაც შუალედური/რიგგარეშე არჩევნები იმართებოდა. შეხვედრის მიზანი იყო საოლქო საარჩევნო კომისიების წევრთა გადამზადება სამართლებრივი წერისა და საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების საკითხებზე, რაც საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეკომენდაციებს ეხმიანებოდა.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: სამართლებრივი წერა, განცხადება/საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი სამართლებრივი აქტების დასაბუთების მნიშვნელობა.

ტრენინგების ეფექტიანობა აისახა კომისიების/კომისიების ხელმძღვანელი პირების მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებისა და მათ მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების ხარისხზე.

შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 31-მა პირმა, მათ შორის 15 (48%) იყო ქალი და 16 (52%) – კაცი.

საქმიანობა 1.2.7 საოლქო საარჩევნო კომისიების შესაბამის წევრთა გადამზადება მედიასთან ურთიერთობის მიმართულებით

2019 წლის 4-5 დეკემბერს, ინტერვიუს წარმართვისა და ეფექტური კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით, ცესკოში ჩატარდა სემინარი „მედიასპიკერის უნარების განვითარება“. დაგეგმილმა აქტივობამ საჭიროებიდან გამომდინარე, განიცადა ცვლილება და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების ნაცვლად სემინარი ჩაუტარდათ ცესკოს თანამშრომლებს. სწავლებას „PR აკადემიის“ დირექტორი ნათია გოცაძე უძღვებოდა. ორი დღის განმავლობაში მონაწილეებმა განიხილეს მედიასთან ურთიერთობის და საჯარო გამოსვლების ხელოვნების მნიშვნელოვანი ასპექტები.

სემინარში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ადმინისტრაციის 20-მა თანამშრომელმა, მათ შორის 3 (15%) იყო ქალი და 17 (85 %) – კაცი.

საქმიანობა 1.2.8 საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესთან დაკავშირებით ტრენინგების ჩატარება

საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საქმისწარმოებისა და საარჩევნო რეგისტრაციების პროცესთან დაკავშირებით ტრენინგის ჩატარების მიზნით, შემუშავდა სახელმძღვანელო დოკუმენტები (ინსტრუქციები) და საპრეზენტაციო მასალები. ტრენინგი ჩაუტარდათ იმ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს, სადაც გაიმართა 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნები.

ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 24-მა პირმა, მათ შორის 13 (54%) იყო ქალი და 11 (46%) – კაცი.

საქმიანობა 1.2.9 მენტორინგის ინსტიტუტის დანერგვა

პროფესიული გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცესკოს აპარატში დაინერგა მენტორინგის ინსტიტუტი. შემუშავდა და დამტკიცდა მენტორინგის წესი. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ცესკოს აპარატის რვა თანამშრომელს მიენიჭა მენტორის სტატუსი. მათ მენტორინგი ჩაუტარეს 11 შეგირდს. 2019 წლის 13 ოქტომბერს, მენტორებმა შესრულებული საქმიანობის შესახებ შუალედური ანგარიშები წარუდგინეს ცესკოს თავმჯდომარეს. ამასთან, 2019 წლის მენტორინგის პროგრამის შეფასებისთვის 2020 წლის 20 იანვრამდე მენტორები წარმოადგენენ საბოლოო ანგარიშებს.

საქმიანობა 1.2.10 საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ორგანიზება

2019 წლის 11 მარტი-16 აპრილისა და 21 ოქტომბერი-5 დეკემბრის პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური ადამიანური რესურსის შერჩევის მიზნით, სწავლების ცენტრმა, ჩაატარა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა ორი სასერტიფიკაციო გამოცდა[3]. აღსანიშნავია, რომ სერვისის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს გაიხსნა ახალი საგამოცდო ცენტრი №59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიაში. შესაბამისად, მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გამოცდის ჩაბარების ადგილად შეერჩიათ როგორც თბილისის, ისე ქუთაისის საგამოცდო ცენტრი.

სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგამოცდო ტესტების მომზადება/დამტკიცება, რომელიც თანდართული პასუხებით, წინასწარი საჯარო გაცნობისთვის განათავსა ცესკოსა და სწავლების ცენტრის ვებგვერდებზე. გამოცდების ჩაბარების მსურველთა რეგისტრაციები განხორციელდა ელექტრონული ფორმით http://registration.cec.gov.ge/.

გამოცდები ჩატარდა ელექტრონული ტესტირების მეთოდით. თითოეული გამოსაცდელისთვის, ავტომატურად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, შეირჩეოდა 30 საგამოცდო ტესტი, რომელიც მოიცავდა კითხვებს საქართველოს კონსტიტუციიდან (ექვსი კითხვა), საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან (17 კითხვა), ზოგადი უნარების მათემატიკური (ხუთი კითხვა) და ვერბალური (ორი კითხვა) ნაწილებიდან. გამსვლელი 24 ქულის მიღების შემთხვევაში გამოსაცდელს, ადგილზე, გადაეცემოდა საარჩევნო მოხელის სერტიფიკატი.

სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთა რაოდენობა შეადგენდა 2 521-ს, გამოცდაზე გამოცხადდა 828 (33%), ხოლო გამოცდა ჩააბარა 224-მა (29%) მონაწილემ, მათ შორის 173 (71%) იყო ქალი და 71 (29%) – კაცი.

1.2.11 კონფერენციებში, სამუშაო შეხვედრებში, სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა

სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან თანამშრომლობის, საკონსულტაციო მომსახურების გაწევისა და საარჩევნო პროცესების მართვის შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ცესკოს წევრებმა, აპარატის თანამშრომლებმა, საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 26 საერთაშორისო ღონისძიებაში, მათ შორის, სამ სიმპოზიუმში, შვიდ კონფერენციაში, ექვს სამუშაო შეხვედრაში, ცხრა სასწავლო კურსსა და ერთ საკომიტეტო სხდომაში. ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (2).

3 სწავლების ცენტრი ატარებს სასერტიფიკაციო გამოცდას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად.

ცხრილი 2.

თარიღი	თემატიკა	ორგანიზატორი ორგანიზაცია
27-30 იანვარი	საარჩევნო საკითხთა მე-17 საერთაშორისო სიმპოზიუმი და საერთაშორისო საარჩევნო დაჯილდოება	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS) და განას საარჩევნო ადმინისტრაცია/ განა
20-22 თებერვალი	კონფერენცია – „დამოუკიდებელი ცხოვრება და პოლიტიკური ჩართულობა“, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის ინკლუზიური გარემოს გაუმჯობესება	იესელის ფონდი (Essl Foundation)/გაეროს ოფისი/ავსტრია
27 თებერვალი	საერთაშორისო კონფერენცია „იძულებით გადაადგილებულ პირთა საარჩევნო უფლებები ადგილობრივ დონეზე უკრაინაში: ინტეგრაციის და დემოკრატიის გაძლიერება“	ევროპის საბჭოს (CoE) ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა კონგრესი/უკრაინა
14 მაისი	Freedom House-ის მეორე ყოველწლიური ფორუმი: მედია, არჩევნები და მონაწილეობითი დემოკრატია	Freedom House/მოლდოვა
14 მაისი	კომიტეტის სხდომა, ეუთო-ს ადამიანის უფლებების დაცვის განზომილების ძირითადი თემა-არჩევნები	ეუთო/ავსტრია
27-31 მაისი	საერთაშორისო სპეციალიზებული კურსი – „სოციალური მედია, საარჩევნო კამპანია და ინფორმირებული ამომრჩეველი“	მექსიკის ეროვნული საარჩევნო ინსტიტუტი (INE)/მექსიკა
5-7 ივნისი	სამუშაო შეხვედრა – „არჩევნებში მონაწილეობა და განათლება დემოკრატიისთვის“	რუმინეთის მუდმივი საარჩევნო კომისია და ფრანკოფონიის საარჩევნო ადმინისტრაციების ქსელი (RECEF)/რუმინეთი
25-26 ივნისი	სასწავლო კურსი – „საარჩევნო ტექნოლოგიები და კიბერჰიგიენა (სისტემური გამართულობა და ონლაინ უსაფრთხოების გაუმჯობესება)“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ევროპის რეგიონული ოფისი და ტალინის ტექნიკურ უნივერსიტეტი/ესტონეთი
27-28 ივნისი	მე-16 ევროპული კონფერენცია – „საარჩევნო დავების გადაწყვეტა“	სლოვაკეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, სლოვაკეთის საარჩევნო ადმინისტრაცია და ევროპის საბჭოს ვენეციის კომისია/სლოვაკეთი

1-5 ივლისი	სასწავლო ვიზიტი – „საინფორმაციო ტექნოლოგიები და არჩევნების ადმინისტრირება“	ევროპის საბჭო/ნორვეგია
3-6 ივლისი	მე-18 საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ამომრჩევლის უფლებები, უმცირესობათა უფლებები, საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკა, ბრძოლა დეზინფორმაციასთან, ასევე სოციალური მედიის მიმართულებით არსებული გამოწვევები“	საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრი (ICPS) და მალდივის რესპუბლიკის საარჩევნო ადმინისტრაცია/ მალდივის რესპუბლიკა
3-12 ივლისი	საერთაშორისო პროგრამა – „ფინანსურ საკითხთა გამჭვირვალობის გაძლიერება პოლიტიკურ ჭრილში“	მსოფლიო საარჩევნო ადმინისტრაციების ასოციაცია (A-WEB)/კორეის რესპუბლიკა
20 აგვისტო-2 სექტემბერი	საერთაშორისო სასწავლო პროგრამა – „გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების გაძლიერება: ტაილანდის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება“	ტაილანდის სამეფოს მთავრობის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო (TICA)/ტაილანდი
2-4 სექტემბერი	A-WEB-ის მე-4 გენერალური ასამბლეა და საერთაშორისო კონფერენცია – „საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება არჩევნებში, ასევე სოციალურ მედიასთან დაკავშირებული ინიციატივები და გამოწვევები“	საარჩევნო ადმინისტრაციების მსოფლიო ასოციაცია (A-WEB) და ინდოეთის საარჩევნო ადმინისტრაცია/ინდოეთი
10 სექტემბერი	საერთაშორისო კონფერენცია – „სადამკვირვებლო მისიების გაძლიერება და განვითარება, ელექტრონული ხმის მიცემა, სოციალური მედიის მზარდი ზეგავლენა, კონკრეტული ცვლილებების აუცილებლობა ციფრულ ეპოქაში“	შვეიცარიის საგარეო ურთიერთობების სამინისტროს ფედერალური დეპარტამენტი/ შვეიცარია
15-17 სექტემბერი	საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენება არჩევნებში – გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება“	თურქეთის რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო საბჭო/ თურქეთი
16-17 სექტემბერი	ეუთო-ს მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა შესრულების შემფასებელი ყოველწლიური შეხვედრა (HDIM) ადამიანის უფლებათა დაცვის განზომილებაში	ეუთო/პოლონეთი
23-24 სექტემბერი	საარჩევნო ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა	გაერო/სომხეთი

24-26 სექტემბერი	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაციის 28-ე ყოველწლიური კონფერენცია – „საარჩევნო უფლებების სამართლებრივი უზრუნველყოფა და არჩევნების გამჭვირვალობა“	ევროპის საარჩევნო მოხელეთა ასოციაცია/სლოვენია
1 ოქტომბერი	ეუთო/ოდირი-ს საერთაშორისო სემინარი – „არჩევნებზე დაკვირვება და საარჩევნო დავების გადაწყვეტა“	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR)/ავსტრია
21 ოქტომბერი	სასწავლო კურსი „საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვა და კიბერჰიგიენა“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)/ ჩეხეთი
22 ოქტომბერი	საარჩევნო ექსპერტთა სამუშაო შეხვედრა	დემოკრატიისა და საარჩევნო ხელშეწყობის საერთაშორისო ინსტიტუტი (International IDEA)/ შვედეთი
5-6 ნოემბერი	მშვიდობის კვირეული – „პოლიტიკური ინიციატივების ხელშეწყობა საარჩევნო ძალადობის პრევენციისთვის“	შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტი (FDFA) და კოფი ანანის ფონდი (KAF)/შვეიცარია
18-19 ნოემბერი	სამუშაო შეხვედრა – „დეზინფორმაცია, როგორც გამოწვევა არჩევნებში“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)/ჩეხეთი
2-6 დეკემბერი	სასწავლო კურსი გრძელვადიანი დამკვირვებლებისთვის	ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR)/სერბეთი
9-13 დეკემბერი	საინფორმაციო-სასწავლო კურსი „საარჩევნო ტექნოლოგიები და კიბერჰიგიენა“	საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES)/ესტონეთი





საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების საერთაშორისო ვიზიტებში მონაწილეობა.

საარჩევნო ადმინისტრაციისა და სწავლების ცენტრის თანამშრომლებმა, დამკვირვებლის სტატუსით, მონაწილეობა მიიღეს 18 საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში:

- საპარლამენტო არჩევნები და რეფერენდუმი მოლდოვაში;
- საპარლამენტო არჩევნები ესტონეთში;
- საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში (მათ შორის, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ეგიდით);
- საპარლამენტო არჩევნები მალდივის რესპუბლიკაში;
- საყოველთაო არჩევნები ინდოეთში;
- საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი ლიეტუვაში;
- ევროპარლამენტის არჩევნები უნგრეთში;
- ევროპარლამენტის არჩევნები პოლონეთში;
- საპრეზიდენტო არჩევნები ყაზახეთში;
- ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უკრაინაში (ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) ეგიდით);
- ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უკრაინაში;
- საპარლამენტო არჩევნები პოლონეთში;
- საერთო ადგილობრივი და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები მოლდოვაში;
- საპარლამენტო არჩევნები ბელარუსში;
- საპარლამენტო არჩევნები უზბეკეთში;
- მუნიციპალური არჩევნები აზერბაიჯანში;
- საპრეზიდენტო არჩევნები რუმინეთში.

სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობის შემდეგ, მისიების მონაწილეებმა წარადგინეს ანგარიშები, სადაც აღწერეს მიღებული გამოცდილება, დამყარებული კონტაქტები და სამომავლო რეკომენდაციები. სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობა მიიღო 32-მა თანამშრომელმა, მათ შორის 15 (47%) იყო ქალი და 17 (53%) – კაცი.

ცესკოს და სწავლების ცენტრის მიერ საზღვარგარეთ ორგანიზებული 44 ვიზიტის დროს სულ მონაწილეობა მიიღო 49 წარმომადგენელმა, მათ შორის 24 (49%) იყო ქალი და 25 (51%) – კაცი.



მიზანი 1.3 ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

საქმიანობა 1.3.1 საარჩევნო პროცესებში თანამედროვე ელექტრონული პროგრამების შექმნა, ჩართვა და გამოყენება

2019 წლის მანძილზე ცესკოში შეიქმნა ან/და განახლდა რამდენიმე თანამედროვე ელექტრონული პროგრამა, მათ შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი პროგრამები:

- დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის სატესტო ვერსია;
- ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა „www.ehrms.ge“;
- ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ფარგლებში შემუშავებული, მოსახლეობის გამოკითხვის კითხვარის პროგრამული უზრუნველყოფის Android ვერსია;
- რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა;
- ცესკოს აპარატის თანამშრომელთა დასწრების აღრიცხვის სისტემა.

საქმიანობა 1.3.2 ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შესაძლებლობების განვითარება

2019 წელს, ცესკომ გაზარდა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შესაძლებლობები. 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის, გარდა პოლიტიკური გაერთიანებებისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციებისა, ცესკოში რეგისტრირებულ მედიაორგანიზაციებს მიეცათ ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის გამოყენებით მედიის წარმომადგენელთა აკრედიტაციის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის შესაძლებლობა. ხოლო 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის ცესკოში რეგისტრირებულ საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს მიეცათ ელექტრონული რეგისტრაციების პროგრამის გამოყენებით, დამკვირვებელთა დანიშვნის შესახებ განცხადებების წარდგენისა და რეგისტრაციის შესაძლებლობა.

შემუშავდა ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის გამოყენების სახელმძღვანელო ინსტრუქცია/წესი. ცესკომ, პროგრამის ახალი მოდულების მოხმარების შესახებ ტრენინგი ჩაუტარა ცესკოში რეგისტრირებული პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებს.

ელექტრონული რეგისტრაციების სისტემის ეფექტიანობის შეფასების მიზნით, ჩატარდა 2019 წელს გამართულ შუალედურ/რიგგარეშე არჩევნებში მონაწილე ონლაინ რეგისტრაციების სისტემაში ჩართული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების გამოკითხვა. ელექტრონული კითხვარი შეავსო 10-მა რესპონდენტმა და შედეგების ანალიზის საფუძველზე, მომზადდა შუალედური შეფასებები და გაანალიზდა დღემდე განხორციელებული პროცესები. შესაბამისად, გამოკითხვის შედეგები გამოყენებული იქნება პროგრამის მუშაობის მონიტორინგისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის.

საქმიანობა 1.3.3 არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ სრულყოფა

საანგარიშო პერიოდში ცესკომ გააფართოვა არჩევნების მართვის ელექტრონული სისტემის „არმასი“ შესაძლებლობები. 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამას დაემატა მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციის გვერდი (medre.cec.gov.ge), რამაც გამოიწვია ახალი მოდულების დამატების აუცილებლობა: „მედიის წარმომადგენლები“ და ქვემოდულები „მედიაორგანიზაციების რეგისტრაცია“, „მედიაორგანიზაციები“, „პარამეტრების მართვა“, „ფაილების მართვა“, „მედიის წარმომადგენლები“.

2019 წლის 19 მაისს, სამი ტიპის არჩევნების ერთდროულად გამართვამ გამოიწვია არჩევნების მართვის სისტემის სხვადასხვა მოდულებში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და ცვლილებები შევიდა შემდეგ მოდულებსა და ქვემოდულებში: „საარჩევნო სუბიექტების მართვა“, „მაჟორიტარების რეგისტრაცია“, „მერობის კანდიდატები“, „მოწმობები“, „ადამიანური რესურსები“. „ადამიანური რესურსების“ მოდულის „პიროვნების ძიება“ ქვემოდულში დაემატა ელექტრონული რეგისტრაციით დანიშნული საარჩევნო ოლქისა და უბნის წევრების ძიების შესაძლებლობა. პარტიების რეგისტრაციის მოდულში დაემატა „მომხმარებლის User|Password-ის მიმღები/განცხადების წარმდგენი პირის“ რედაქტირების ფუნქცია.

25 თებერვალი-20 მარტის პერიოდში საოლქო საარჩევნო კომისიების 149 წევრს ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი პროგრამის მოხმარების თაობაზე.

2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის, არჩევნების მართვის ელექტრონულ სისტემაში „არმასი“ შეიქმნა შესაბამისი ახალი გვერდი (inre.cec.gov.ge). შეიქმნა საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის მოდული, რამაც გამოიწვია ახალი მოდულების დამატების აუცილებლობა: „საერთაშორისო დამკვირვებლები“ და ქვემოდულები: „საერთაშორისო ორგანიზაციის რეგისტრაცია“, „საერთაშორისო ორგანიზაციები“, „პარამეტრების მართვა“, „ფაილების მართვა“ და „საერთაშორისო დამკვირვებლები“.

საქმიანობა 1.3.4 დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა

ცესკოში დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესის გასაუმჯობესებლად მიმდინარეობს მუშაობა დაგეგმვისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შესაქმნელად. პროგრამის საშუალებით შესაძლებელი იქნება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების ელექტრონულად შემუშავება, ასევე, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის კვარტალური/წლიური ანგარიშების მომზადება/წარმოდგენა.

2019 წელს განხორციელდა პროგრამის სამუშაო ვერსიის ტესტირება და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ პროგრამა წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობას. შემუშავდა პროგრამის მოხმარების ინსტრუქცია. პროგრამაში აიტვირთა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები. თუმცა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის განსხვავებული სტრუქტურით შემუშავების გამო, საჭირო გახდა პროგრამაში ცვლილებების განხორციელება. პროგრამის სრულად ამოქმედება დაგეგმილია 2020 წელს.

საქმიანობა 1.3.5 ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის შესაძლებლობის შესწავლა/დანერგვა

ცესკოს სხდომების ადმინისტრირების პროცესის გასაუმჯობესებლად, ცესკოს წევრთა რეგისტრაციის, კომისიის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მართვის, ოპტიმიზაციისა და გამარტივების მიზნით, ცესკოში მიმდინარეობს მუშაობა ცესკოს სხდომებზე ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შექმნაზე. ყველა სამართლებრივი მოთხოვნის[4] გათვალისწინებით და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის საფუძველზე, შემუშავდა ტექნიკური დავალება და პროგრამული სერვისის მომწოდებელ კომპანიებთან კონსულტაციების შედეგად შეიქმნა პროგრამის კონცეფციის პროექტი. პროგრამა დაინერგება 2020 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში, ცესკოს სხდომათა დარბაზის რეკონსტრუქციის პროცესში შესასრულებელ სამუშაოებთან ერთად.

საქმიანობა 1.3.6 კიბერშეტევებისგან დამცავი სისტემისა და ლიცენზიების განახლება

კიბერშეტევების მინიმუმამდე დაყვანის, დამცავი სისტემების გეგმიური განახლებების, არასანქცირებული შეტევებისგან დამცავი სისტემების გაუმჯობესებისა და პრევენციის მიზნით, ცესკოში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებზე და შემუშავდა სამოქმედო გეგმა. პროგრამული სისტემების სკანირების შედეგად გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაცია მიეწოდა ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებს, რომლის შედეგად ერთობლივად დაიგეგმა და განხორციელდა შესაბამისი სამუშაოები. ასევე, გამოვლინდა ცესკოს ოფიციალური ვებგვერდის სისუსტეები, რომელთა შესახებ ეცნობა ვებგვერდის შექმნასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ კომპანიას.

2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების შესყიდვის შესაბამისად, განხორციელდა სისტემის ლიცენზიების შეძენა/გახანგრძლივება.

4 საქართველოს ორგანული კანონისა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ და „საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2015 წლის 25 ნოემბრის №54/2015 დადგენილების შესაბამისი სამართლებრივი მოთხოვნები.

საქმიანობა 1.3.7 თანამშრომლობა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან საარჩევნო უბნების განთავსების მიზნით

2019 წლის 29 მაისს, ცესკოს ინიციატივით გაიმართა სამუშაო შეხვედრა კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელ შემდეგი სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. შეხვედრაზე განხილული იყო შესაძლო საკანონმდებლო ცვლილება, რაც გულისხმობს ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მიერ, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, წინასწარი განაცხადის საფუძველზე, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მისაწვდომი ერთ-ერთი ადაპტირებული საარჩევნო უბნის არჩევის შესაძლებლობას (დროებითი ზომა). შეხვედრაში მონაწილე უწყებების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები შეძლებისდაგვარად აისახა საკანონმდებლო ცვლილების პროექტში. ასევე გადაწყდა, რომ ადაპტირებული შენობა-ნაგებობების შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნება მას შემდეგ, რაც საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განხორციელდება ცვლილება ეტლით მოსარგებლე პირებთან დაკავშირებით.

სახელმწიფო შესყიდვები

2019 წლის განმავლობაში სახელმწიფო შესყიდვების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 1 528 329 ლარი, მათ შორის 2019 წელს ჩატარებული შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის სარეზერვო ფონდიდან გაფორმდა 310 646 ლარის ხელშეკრულებები. ელექტრონული ტენდერისა და კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელდა 771 217 ლარის შესყიდვები, ხოლო გამარტივებული შესყიდვების გზით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულებაა 757 112 ლარი.

სულ წლის განმავლობაში გაფორმდა 306 ხელშეკრულება. მათ შორის, გამარტივებული შესყიდვის – 165, კონსოლიდირებული ტენდერის – 25, ელექტრონული ტენდერის – 36, სარეზერვო ფონდის ფარგლებში – 80.

საანგარიშო პერიოდში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა შეადგენდა 46-ს, მათგან შედგა ტენდერი და დაიდო 36 ხელშეკრულება, უარყოფითი შედეგით დასრულდა და ვერც ერთმა პრეტენდენტმა ვერ დააკმაყოფილა სატენდერო მოთხოვნები – სამი, არ შედგა ვაჭრობა – შვიდ შემთხვევაში. 2019 წლის განმავლობაში არცერთი ტენდერი არ გასაჩივრებულა.

ტენდერების შედეგად წარმოქმნილმა ეკონომიამ შეადგინა 64 732 ლარი.

2019 წელს შემუშავდა 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვის გეგმა.

მიზანი 1.4 იმიჯის განმტკიცება

საქმიანობა 1.4.1 საიმიჯო-სარეკლამო კამპანიის განხორციელება

საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და განხორციელდა კომუნიკაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმის ფარგლებში განხორციელდა კამპანიები ცესკოს პროექტისთვის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და ინფორმირების კამპანიისთვის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“. ორივე აქტივობის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, ცენტრალური ტელეკომპანიების ეთერში განთავსდა შესაბამისი სარეკლამო/საინფორმაციო ვიდეორგოლები. გარდა ამისა, აღნიშნული ვიდეორგოლები განთავსდა ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში.

საქართველოს არჩევნების ისტორიის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით, „Facebook“-ზე განხორციელდა ინფორმირების კამპანია. მომზადდა და სოციალურ ქსელში ეტაპობრივად თავსდებოდა სპეციალური პოსტერები, რაც მოიცავდა ამონარიდებს და საინტერესო ისტორიულ ფოტოებს შესაბამისი აღწერილობით საარჩევნო ადმინისტრაციის ახალი გამოცემიდან „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. ცესკომ უზრუნველყო საქმიანობის შესახებ მედიის, დაინტერესებული პირებისა და ზოგადად საზოგადოების ინფორმირება პრეს-რელიზების, ინტერნეტის, სოციალური ქსელების (Facebook, Twitter, Youtube), ასევე მედიასთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან უშუალო კონტაქტის საშუალებით.

საერთო ჯამში 2019 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ მომზადდა და სატელევიზიო/რადიო ეთერებში განთავსდა ხუთი ვიდეო და ერთი აუდიო რგოლი.

საქმიანობა 1.4.2 პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება

პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილეს აღსანიშნავად, ცესკოს წარმომადგენლებმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის გამართეს საინფორმაციო აქცია და სტუდენტებს მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია პირველი დემოკრატიული არჩევნების შესახებ. ცესკოს წარმომადგენლებმა ახალგაზრდებს გადასცეს ბროშურა „პირველი საყოველთაო დემოკრატული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“, ასევე იმდროინდელი ბიულეტენების ნიმუშები, რომლებიც სიმბოლურად საარჩევნო ყუთშიც მოათავსეს.

პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან 100 წლის იუბილე აღინიშნა საარჩევნო ადმინისტრაციების მეცხრე ყოველწლიურ შეხვედრაზე, ცესკოს თავმჯდომარემ მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო გამოცდილების შესახებ და წარუდგინა პრეზენტაცია – „პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლის იუბილე დამოუკიდებელ საქართველოში“.

გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეებმა დარბაზში სპეციალურად მოწყობილ სივრცეში მიიღეს ინფორმაცია აღნიშნული არჩევნების შესახებ.

14 თებერვალი საქართველოს არჩევნების ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და განსაკუთრებით წელს ეს თარიღი თითოეულ მოქალაქეს ახსენებს იმ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ჩატარებულ პირველ საყოველთაო დემოკრატიულ არჩევნებს უკავშირდება.

1919 წლის 14, 15, და 16 თებერვალს ქართველმა ხალხმა მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების საყოველთაო არჩევნებში, რომელიც საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისკენ პირველ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს. დღეს, ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენას ერთი საუკუნე შეუსრულდა. ზუსტად 100 წლის წინ ჩვენმა ქვეყანამ შეძლო და საფუძველი ჩაუყარა იმ საარჩევნო კულტურას, რომლის განვითარებასა და გაძლიერებას დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 1919 წელს ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხზე ჩვენ არაერთხელ გაგვიკეთებია აქცენტი და აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პრინციპები რომელსაც ის ეფუძნებოდა იმდროინდელი მსოფლიოსთვის ინოვაციად ითვლებოდა. არჩევნების საყოველთაოობა, ქალებისა და ეთნიკური უმცირესობების აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებები, ეს ის ძირითადი მახასიათებლებია, რომლებიც ამ არჩევნებს იმ დროისთვის უნიკალურსა და უაღრესად პროგრესულს ხდის.

დღეს მინდა საქართველოს თითოეული მოქალაქე რამდენიმე წუთით კიდევ ერთხელ დავაბრუნოთ ჩვენი ისტორიის იმ გარდამტეხ მომენტში, სადაც ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას ჩაეყარა საფუძველი და შევახსენოთ ის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული ღირებულებები, რომლისთვის ბრძოლაც ჩვენმა ქვეყანამ სწორედ 100 წლის წინ დაიწყო.

თამარ შვანია, ცესკოს თავმჯდომარე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ორგანიზებული, პირველი დემოკრატიული არჩევნების 100 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

საქმიანობა 1.4.3 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერობათა ყრილობებისა და ქალაქის საბჭოების ხმოსანთა არჩევნების შესახებ გამოცემის მომზადება

ცესკოს ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, მომზადდა და გამოიცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩატარებულ ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემა – „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. გამოცემა 1918-1921 წლებს მოიცავს.

2019 წლის 30 მაისს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოცემის პრეზენტაცია, რომელსაც ესწრებოდნენ სტუდენტები, ლექტორები, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეები, პოლიტიკური პარტიების, ადგილობრივი არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლები.

> გამოცემაში წარმოდგენილი მასალებიდან მკითხველს საშუალება ეძლევა, გაეცნოს იმდროინდელი საქართველოს რეალობას და თავად შეაფასოს, თუ რამდენად დიდი იყო მაშინდელი საქართველოს მზაობა და მისწრაფება დემოკრატიული განვითარებისკენ და რაოდენ მნიშვნელოვანი დემოკრატიული პრინციპები ედო საფუძვლად პირველ საარჩევნო პროცესებს. თვითმმართველობის არჩევნები, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 20 მაზრასა და 26 ქალაქში ჩატარდა, უნიკალური საარჩევნო პრინციპების მატარებელი იყო. არჩევნების ინკლუზიურობა, ქალების აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, ისევე როგორც ეთნიკური უმცირესობების აქტიური ჩართულობა, არჩევნების დემოკრატიულობის ის ძირითადი პრინციპებია, რომლებიც არჩევნების დაბადებასთან ერთად გაჩნდა საქართველოში და რომელთაც დღევანდელ საარჩევნო პროცესშიც დიდი ყურადღება ექცევა. ამ კულტურას საქართველოში უკვე ერთი საუკუნე შეუსრულდა.
>
> **თამარ ჟვანია, ცესკოს თავმჯდომარე**
>
> *2019 წლის 30 მაისი, გამოცემის „ადგილობრივ თვითმმართველობათა არჩევნები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში“ პრეზენტაცია*

საქმიანობა 1.4.4 საკონსულტაციო მექანიზმების შეთავაზება და კარგი პრაქტიკის გაზიარება სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებისთვის

2019 წელს, ცესკოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ორ საკონსულტაციო ღონისძიებაში და გამოცდილება გაუზიარეს სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციას.

2019 წლის 23-24 სექტემბერს, ცესკოს დელეგაციამ ცესკოს თავმჯდომარის თამარ ჟვანიას ხელმძღვანელობით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით და სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციის მიწვევით, მონაწილეობა მიიღო სომხეთში, ქ. ერევანში გამართულ საკონსულტაციო შეხვედრაში. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სომეხ კოლეგებს გაუზიარეს გამოცდილება სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის, საარჩევნო დავების განხილვისა და ინსტიტუციური განვითარების შესახებ. ვიზიტის ფარგლებში, ცესკოს დელეგაციამ გამართა შეხვედრები სომხეთის რესპუბლიკის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებთან, სომხეთში გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე მიჰაელა სტოიკოსკასთან, UNDP-ს საარჩევნო დახმარების პროგრამის წარმომადგენლებსა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის ხელმძღვანელთან სომხეთში, ჟერომ ლეღოსთან. ასევე, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა გამოცდილება გაუზიარეს სომხეთის პარლამენტის წევრებსა და საარჩევნო რეფორმებზე მომუშავე საპარლამენტო ქვეკომიტეტის წარმომადგენლებს.

2019 წლის 16-17 დეკემბერს, გაეროს განვითარების პროგრამის „არჩევნების ხელშეწყობის პროექტი სომხეთში“ ფარგლებში, ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გამართეს საკონსულტაციო შეხვედრები სომხეთის საარჩევნო ადმინისტრაციის დელეგაციასთან. შეხვედრებზე მხარეებმა განიხილეს საარჩევნო დავების განხილვის პროცესი, არჩევნების ორგანიზება და ახალი ტექნოლოგიები საარჩევნო პროცესებში. საარჩევნო სფეროში სასწავლო პროგრამების განხორციელების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით, სწავლების ცენტრის დირექტორმა მათ გააცნო ინსტიტუციის სტრატეგიული ხედვა სწავლების კომპონენტის, ასევე სასწავლო პროგრამების, აპრობირებული მეთოდოლოგიისა და სასწავლო მასალების შესახებ.

საქმიანობა 1.4.5 საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრის მოწყობა

2019 წლის 26-27 მარტს, ცესკომ ორგანიზება გაუწია საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიურ, რიგით მეცხრე, საერთაშორისო შეხვედრას – „არჩევნების მთლიანობა – კიბერუსაფრთხოება და ინფორმაციის სანდოობა ციფრულ ეპოქაში“. შეხვედრა გაიმართა საპარლამენტო სწავლებების საერთაშორისო ცენტრთან (ICPS) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 19 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციების, საარჩევნო საკითხებზე მომუშავე რვა საერთაშორისო ორგანიზაციის, საარჩევნო ტექნოლოგიებზე ორიენტირებული სამი კომპანიის, ასევე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საელჩოების 88 წარმომადგენელმა.

შეხვედრაზე, ცესკოს თავმჯდომარემ წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის წინაშე არსებულ გამოწვევებზე – „კიბერშეტევა და დეზინფორმაცია“.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: ტექნოლოგიური საფრთხეები საარჩევნო პროცესში და მათი გადაჭრის გზები, ამომრჩეველთა მონაცემების შეგროვების, დამუშავების და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კიბერუსაფრთხოების მიზნით უწყებებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობა.











საარჩევნო ადმინისტრაციების ყოველწლიური შეხვედრა.

საქმიანობა 1.4.7 სოციალური აქციების ორგანიზება

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შვიდი სოციალური აქცია:

- 2019 წლის 21 მარტს, ცესკოს თანამშრომლები დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს შეუერთდნენ;
- 2019 წლის 5 აპრილს, ცესკოს აპარატის 20-მდე თანამშრომელმა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრმა უანგაროდ გაიღეს სისხლი;
- 2019 წლის 22 აპრილს, ცესკოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვაში, რომელიც ცესკოს ადმინისტრაციულ შენობაში სოციალურმა საწარმომ „STUDIO 47“ გამართა. ცესკოს და დემოკრატიული განვითარებისა და ინიციატივების ცენტრის ორგანიზებული გამოფენა-გაყიდვის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი და შშმ პირების დახმარების მიზნით, ცესკოს თანამშრომლებმა შეიძინეს ხელნაკეთი ნივთები;
- 2019 წლის 26 აპრილს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სოციალურად დაუცველ ოჯახებს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს. ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კი თბილისსა და რეგიონებში მცხოვრები, ცხრა ოჯახი მოინახულეს და მათ საჩუქრად საკვები პროდუქტები გადასცეს;
- 2019 წლის 8 ოქტომბერს, ცესკოში, შპს „ნატალია კვანტალიანის სახელობის სისხლის ცენტრალურ ბანკთან“ თანამშრომლობით გაიმართა სისხლის დონაციის აქცია. საარჩევნო ადმინისტრაციის ცესკოს აპარატის 20-მდე თანამშრომელმა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა უანგაროდ გაიღეს სისხლი;
- 2019 წლის 29 სექტემბერს, საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლები შეუერთდნენ საერთაშორისო სოციალურ პროექტს „თბილისიმარათონს“, სადაც ყოველწლიურად დაახლოებით 2500 ადამიანი იღებს მონაწილეობას;
- 2019 წლის 27 დეკემბერს, ცესკოს თავმჯდომარემ, ცესკოს აპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების (ხარაგაული, ქობულეთი, ქუთაისი, თელავი, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, ფოთი, ახალციხე) წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს წინასაახალწლო სოციალურ აქციაში. ცესკოს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან 19 ოჯახს გადაეცათ საკვები პროდუქტები.







საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომლების მონაწილეობა სოციალურ აქციებში.

სტრატეგიული პრიორიტეტი 2

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება





სტრატეგიული პრიორიტეტი 2: სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება

მიზანი 2.1 სამოქალაქო და ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

საქმიანობა 2.1.1 საინფორმაციო კამპანიის წარმოება


2019 წელს ცესკომ განსაზღვრა საინფორმაციო კამპანიის ძირითადი მიმართულებები ამომრჩეველთა ინფორმირების, მედიასთან ურთიერთობის, არჩევნებში ჩართული მხარეების ინფორმირების კუთხით. საინფორმაციო კამპანიის მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეების ინფორმირება საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის საარჩევნო პერიოდში და უშუალოდ კენჭისყრის დღეს შეთავაზებული სერვისების შესახებ.

საინფორმაციო კამპანიის ძირითად მიმართულებებად განისაზღვრა 2019 წლის 19 მაისს ჩატარებული შუალედური/რიგგარეშე და 2019 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებული შუალედური არჩევნების შესახებ საზოგადოების ინფორმირება. აღნიშნულ არჩევნებთან დაკავშირებით დამზადდა ორი ვიდეო და ერთი აუდიო რგოლი, რომლებიც განთავსდა როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული მედიის ტელე და რადიო ეთერებში, ასევე – ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და რეგიონულ გაზეთებში.

საერთო ჯამში 2019 წლის განმავლობაში ცესკოში ჩატარდა 22 ბრიფინგი, ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნდა 231 პრეს-რელიზი და 10 საინფორმაციო ბიულეტენი საარჩევნო ადმინისტრაციაში მიმდინარე პროცესების შესახებ. მომზადდა და ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია ცესკოს 51 სხდომის შედეგთან დაკავშირებით.

ცესკო ყოველდღიურად ახორციელებდა მედიასაშუალებებში ცესკოს და ზოგადად ქვეყნის მნიშვნელოვანი პოლიტიკური სიახლეების მონიტორინგს. მედიამონიტორინგი, დღის განმავლობაში, საშუალოდ, ორჯერ მზადდებოდა და ეგზავნებოდა ცესკოს წევრებსა და აპარატის თანამშრომლებს. მონიტორინგი მოიცავდა 70-მდე ქართულენოვან საინფორმაციო სააგენტოს, ბეჭდური მედიის ყველა წამყვან გამოცემასა და სატელევიზიო არხების საინფორმაციო პროგრამებს, ასევე იმ გადაცემებს, რომლებიც მზადდება პოლიტიკურ თემებზე. ცესკო ყველაზე მეტად მოიხსენიებოდა ინტერნეტსა და სატელევიზიო ეთერში, შედარებით ნაკლებად რადიოსა და პრესაში. ინფორმაცია იხილეთ დიაგრამაზე (1).

დიაგრამა 1.



საქმიანობა 2.1.2 საჯარო სკოლებში XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელება

2019 წლის 6-17 მაისის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით, განახორციელეს საინფორმაციო-სასწავლო კურსი „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებისთვის. სასწავლო კურსი განახორციელა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 111-მა ტრენერმა.

პროგრამა მიზნად ისახავდა ახალგაზრდების საარჩევნო ცნობიერების ამაღლებასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობას. პროგრამის კონცეფციის შესაბამისად, საჯარო სკოლების მოსწავლეები, პრაქტიკული სწავლების ფორმატში, გაეცნენ შემდეგ საკითხებს: არჩევითი სახელმწიფო ორგანოები და არჩევნების ისტორია საქართველოში, არჩევნების ჩატარების პრინციპები, გენდერული თანასწორობა (ისტორიული ექსკურსი, საკანონმდებლო ჩარჩო), საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის როლი არჩევნებში და არჩევნებში ჩართული მხარეები. კურსის ბოლოს მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები და გამოავლინეს მოსწავლეების მიერ შემუშავებული გამარჯვებული სლოგანი. მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატი.

პროექტი განხორციელდა 64 მუნიციპალიტეტის 145 საჯარო სკოლაში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში[5] განლაგებულ 24 საჯარო სკოლაში. სასწავლო კურსი გაიარა XI-XII კლასის 2 763-მა მოსწავლემ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებმა 457-მა მოსწავლემ.





სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ მონაწილეები.

5 საგარეჯო, ლაგოდეხი, თელავი, გარდაბანი, მარნეული, ბოლნისი, თეთრიწყარო, დმანისი, წალკა, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა.

საქმიანობა 2.1.3 ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში საჯარო სკოლების მოსწავლეთათვის საინფორმაციო პროექტის „ახალგაზრდული დებატ-კლუბი“ განხორციელება

სწავლების ცენტრმა განაახლა სასწავლო კურსის „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ კონცეფცია, რომლის ფარგლებში საჯარო სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეების მონაწილეობით წელს პირველად მოეწყო დებატი თემაზე – „ქალები ისევე უნდა იყვნენ ჩართულები სპორტში, როგორც მამაკაცები?“.

პროექტში მონაწილეობა მიიღო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში განლაგებული 24 საჯარო სკოლის 457-მა მოსწავლემ, მათ შორის, ცხრა საჯარო სკოლის, სომხური და აზერბაიჯანულენოვანი სექტორის XI-XII კლასის 164-მა მოსწავლემ.

საქმიანობა 2.1.4 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სემესტრული სასწავლო კურსის „საარჩევნო სამართალი“ განხორციელება

2019 წლის 4 თებერვალი-30 ივნისი და 16 სექტემბერი-31 დეკემბრის პერიოდში, პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა სწავლების ცენტრის საავტორო პროგრამა „საარჩევნო სამართალი“. სასწავლო კურსი ჩატარდა 11 უმაღლეს სასწავლო დაწესებულებაში.[6]

პროგრამის ფარგლებში იურიდიული, პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების, ჟურნალისტიკის ფაკულტეტების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები გაეცნენ შიდასახელმწიფოებრივ რეგულაციებს და განიხილეს საერთაშორისო საარჩევნო პრაქტიკა. პროფესიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, აკრედიტებული საგანმანათლებლო კურსის დასასრულს, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა გამართეს მოდელირებული სასამართლო პროცესები.

2019 წელს სასწავლო კურსი გაიარა 635-მა სტუდენტმა, მათ შორის, 392 (62%) იყო ქალი და 243 (38.%) – კაცი. მათ შორის, სასწავლო კურსი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონში (ახალციხის უნივერსიტეტი) კურსი გაიარა 42-მა სტუდენტმა.

6 11 უმაღლესი სასწავლო დაწესებულება: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი.

საქმიანობა 2.1.5 ახალგაზრდა ამომრჩევლისთვის (I და II კურსი) საინფორმაციო კურსის განხორციელება

2019 წლის 2-31 მაისის და 26 ნოემბერი-6 დეკემბრის პერიოდში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა ორ ეტაპად ჩაატარეს საინფორმაციო კურსი „ინფორმირებული ახალგაზრდა ამომრჩეველი“. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში არჩევნების თემის პოპულარიზებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობასა და ინფორმირებას საარჩევნო უფლებების სრულყოფილად რეალიზების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, ითვალისწინებს არჩევნებში ახალგაზრდა ამომრჩევლების აქტიური ჩართულობის ზრდის ხელშეწყობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები ორსაათიანი სემინარების ფარგლებში გაეცნენ არჩევნების არსისა და საარჩევნო პროცესებში ამომრჩევლის როლის მნიშვნელობის საკითხებს. შეხვედრის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

საინფორმაციო კურსი განხორციელდა როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების 12 უნივერსიტეტში[7], კურსი გაიარა 866-მა სტუდენტმა, მათ შორის 639 (74%) იყო ქალი და 227 (26%) – კაცი.

საქმიანობა 2.1.6 სასწავლო პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ განხორციელება

ცესკომ და სწავლების ცენტრმა, ევროპის საბჭოს (CoE) და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, განახორციელეს პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლა“ მორიგი ეტაპი. 2019 წელს პროექტი განხორციელდა თბილისსა და 25 მუნიციპალიტეტში[8], მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ და საზღვრისპირა რეგიონებში/მუნიციპალიტეტებში.

ახალგაზრდებისთვის ტრენინგები ჩაატარა სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა 54-მა ტრენერმა, რომლებიც ამავე დროს არიან საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები.

7 თბილისის შვიდი უნივერსიტეტი – სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. რეგიონების ხუთი უნივერსიტეტი – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

8 გურჯაანი, სიღნაღი, თელავი, ახმეტა, რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, დუშეთი, ახალგორი (წეროვანი, დევნილთა დასახლება), გორი, ხაშური, ბორჯომი, ახალციხე, ამბროლაური, საჩხერე, ზესტაფონი, სამტრედია, ხონი, ქუთაისი, ოზურგეთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი და ქობულეთი.

ათდღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, 18-24 წლის ახალგაზრდები გაეცნენ შემდეგ საკითხებს: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ასპექტები, 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნები, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, საქართველოში არსებული არჩევითი ორგანოები, არჩევნებში ჩართული მხარეები, გენდერული თანასწორობა, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა.

საბოლოო ანგარიში პროექტის განხორციელების შესახებ წარედგინა ცესკოს თავმჯდომარეს, ხოლო ფინანსური ანგარიში – ევროპის საბჭოს (CoE).

საარჩევნო ადმინისტრაციის ინიციატივამ პროექტის ჩატარების შესახებ, ტრადიციულად ახალგაზრდების დიდი ინტერესი გამოიწვია და სასწავლო კურსზე დარეგისტრირდა 625 მსურველი, „საარჩევნო განვითარების სკოლებში“ ჩაირიცხა 589 ახალგაზრდა, რომელთაგანაც სრული სასწავლო კურსის წარმატებით გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი მიიღო 463-მა მონაწილემ, მათ შორის 296 (64%) იყო ქალი და 167 (36%) – კაცი. მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სამ რეგიონში (ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი) და ახმეტის მუნიციპალიტეტისში კურსი გაიარა და სერტიფიკატი მიიღო 62-მა ახალგაზრდამ, აქედან 36 (58%) იყო ქალი და 26 (42%) – კაცი.







სასწავლო პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“.

> ვფიქრობ, თემები, რომელიც საარჩევნო განვითარების სკოლაში თქვენ განიხილეთ და ერთობლივად გაიარეთ, ქვეყნის სამომავლო განვითარებისთვის არის მნიშვნელოვანი. ამ სკოლის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ისაა, რომ ახალგაზრდები, ჩვენი კურსდამთავრებულები იყოთ აქტიური, ამ ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქეები და გქონდეთ მინიმუმ ის მოტივაცია, რაც ამ სკოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოთ. არჩევნები არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომლითაც იწყება ქვეყნის მომავალი პოლიტიკური განვითარება და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ იქნებით ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროცესის ნაწილი.
>
> **თამარ შვანია, ცესკოს თავმჯდომარე**
>
> *2019 წლის 26 ივლისი, შეხვედრა „საარჩევნო განვითარების სკოლის“ კურსდამთავრებულებთან*

საქმიანობა 2.1.7 სასწავლო პროექტის „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ განხორციელება: პროფილური პროგრამა – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის

2019 წლის 1 ივლისი-19 დეკემბრის პერიოდში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – საუბნო საარჩევნო კომისიების პოტენციური წევრებისთვის.“ პროექტი მიზნად ისახავდა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური პოტენციური საკადრო რესურსის გამოვლენასა და განვითარებას. სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სამდღიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები პრაქტიკული სწავლების ფორმატში გაეცნენ კენჭისყრის დღის პროცედურებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.

„საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“ ჩაატარეს სწავლების ცენტრის მიერ გადამზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა და საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა. პროექტისთვის მომზადებული სასწავლო მასალა ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. სასწავლო პროგრამა, ასევე, მოიცავდა სასწავლო მოდულს შშმ პირების საარჩევნო პროცესში ჩართულობის საკითხებზე.

ტრენერთა ტრენინგი ჩატარდა თბილისში, გადამზადდა 153 ტრენერი, მათ შორის იყო 96 (63%) ქალი და 57 (37%) – კაცი.

სასწავლო პროექტის I ეტაპი, 2019 წლის 25 სექტემბერი-25 ოქტომბრის პერიოდში 64 მუნიციპალიტეტში, ხოლო II ეტაპი, 2019 წლის 25 ნოემბერი-19 დეკემბრის პერიოდში რვა მუნიციპალიტეტში[9] განხორციელდა.

კონკურსანტთა რაოდენობა შეადგენდა 11 987-ს, მათ შორის 9 445 (79%) იყო ქალი და 2 542 (21%) – კაცი. სასწავლო კურსში მონაწილეობა მიიღო 8 356-მა პირმა, აქედან სერტიფიკატი გადაეცა 7 751 მონაწილეს, მათ შორის 6 273 (81%) იყო ქალი და 1478 (19%) – კაცი. რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს, პროექტი განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ 12 მუნიციპალიტეტში, მონაწილეობა მიიღო 1 437-მა პირმა, მათ შორის 873 (60.75%) იყო ქალი და 564 (39.25%) – კაცი.

პროფილური პროგრამა – საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის

2019 წლის 20-25 ივნისის პერიოდში, საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური საკადრო რესურსის ფორმირების მიზნით, სწავლების ცენტრმა განახორციელა სასწავლო პროექტი „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები – პროფილური პროგრამა საოლქო საარჩევნო კომისიების პოტენციური იურისტებისთვის“. აღნიშნული პროექტისთვის სწავლების ცენტრმა განაახლა საინფორმაციო-სასწავლო პროექტის კონცეფცია, სასწავლო პროგრამა და მასალები. მონაწილეები შეირჩა 64 მუნიციპალიტეტის მიხედვით, წინასწარ განსაზღვრული პირობებისა და ტესტირების შედეგების გათვალისწინებით.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული საინფორმაციო-სასწავლო კურსი დაეთმო კენჭისყრის დღის განცხადებებთან/საჩივრებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების წესის შესწავლას. პრაქტიკული სწავლების ფორმატში მონაწილეები გაეცნენ შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: საარჩევნო დავების გამომწვევი მიზეზები, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე პროცედურული რისკების იდენტიფიცირება, ადმინისტრაციული წარმოება, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება და მიმდინარეობა, საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების მომზადება საარჩევნო დავებზე, შესაგებელის ფორმა და რეკვიზიტები.

სასწავლო კურსი სამ ჯგუფს ჩაუტარდა, გადამზადდა 60 მონაწილე, მათ შორის 38 (63%) იყო ქალი და 22 (37%) – კაცი.




საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები პოტენციური იურისტებისთვის.

9 თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, მარნეული, საგარეჯო, გორი, ზუგდიდი, ბათუმი.

საქმიანობა 2.1.8 პროექტის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განხორციელება

2019 წელს საინფორმაციო კამპანია „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ განახლებული კონცეფციით ჩატარდა და ითვალისწინებდა საარჩევნო ადმინისტრაციასა და ამომრჩევლებს შორის კომუნიკაციის გაძლიერებას, მოქალაქეთა ინფორმირებასა და საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას.

საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა და მოხალისეებმა მუნიციპალიტეტების ცენტრებსა და სოფლებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამართეს შეხვედრები და მოქალაქეებს მიაწოდეს ინფორმაცია არჩევნებისა და საარჩევნო უფლების, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და საარჩევნო/საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ. კამპანიის ფარგლებში 64 საოლქო საარჩევნო კომისიებში გაიმართა საჯარო შეხვედრები ჩართულ მხარეებთან, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა გამართეს პრეზენტაციები საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ 2018 წელს ჩატარებული არჩევნებისა და 2019 წელს დაგეგმილი საარჩევნო/საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა შეხვედრებზე აწარმოეს მოქალაქეთა გამოკითხვა, რომელიც 2019 წელს განსხვავებული მეთოდოლოგიით ჩატარდა. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში გამოიკითხა 2 331 მოქალაქე, რომლებმაც შეაფასეს საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა. გამოკითხულთა 39.55%-მა საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა ბოლო საპრეზიდენტო არჩევნების დროს ძალიან კარგად, 37.58%-მა – კარგად შეაფასა.

არჩევნებისა და ამომრჩევლის უფლებების შესახებ მოქალაქეთა ინფორმირების მიზნით, საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა, მოხალისეებთან ერთად გამართეს შეხვედრები იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც 2019 წლის 19 მაისს შუალედური/რიგგარეშე არჩევნები ჩატარდა. აპრილსა და მაისში განხორციელდა შეხვედრები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

აქციის – „იპოვე შენი თავი, იპოვე შენი უბანი“ ფარგლებში, მათ მოსახლეობას საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების სერვისი შესთავაზეს.

აქციის ფარგლებში „იცოდე შენი საარჩევნო უფლებების შესახებ“, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებმა საინფორმაციო ფლაერები გაავრცელეს.

ახალგაზრდებმა, რომლებსაც 2019 წლის 19 მაისისთვის შეუსრულდათ საარჩევნო ასაკი, 18 წელი, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, მიიღეს ცესკოს თავმჯდომარის წერილობითი მიმართვა.

ინფორმირების კამპანიის ფარგლებში, წელს პირველად, სწავლების ცენტრის ინიციატივით, საგრანტო პროექტებში განხორციელდა კონტრიბუცია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, რაც ითვალისწინებდა საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების მონაწილეობას საგრანტო პროექტების ფარგლებში

ორგანიზებულ საინფორმაციო შეხვედრებში და პროექტების ბენეფიციარი მოქალაქეებისთვის საარჩევნო საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საოლქო საარჩევნო კომისიებთან, სწავლების ცენტრის მიერ, განხორციელებული კომუნიკაციის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2 მაისი-7 ივნისის პერიოდში, ჩატარდა 47 საინფორმაციო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 32 საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებმა.[10] საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მონაწილეებს მიაწოდეს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობა და უფლებამოსილებები, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, ტექნოლოგიური ინოვაციები საარჩევნო პროცესში, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისები, მათ შორის 2019 წელს დაგეგმილი საარჩევნო/საგანმანათლებლო პროგრამები.

გარდა ამისა, 2019 წლის 19 მაისს ტყიბულსა და წყალტუბოში რვა საარჩევნო უბანზე საკრებულოების შუალედურ არჩევნებზე ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტთან დაკავშირებით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა მოაწყვეს შეხვედრები ამომრჩევლებთან, სადაც დეტალურად გააცნეს მათ აპარატის მოხმარების წესები. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები და ცესკოს წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში, მზად იყვნენ დახმარებოდნენ და დამატებითი ინსტრუქტაჟი გაეწიათ ამომრჩევლებისთვის. ცესკომ ასევე უზრუნველყო პროცედურების შესახებ ვიდეორგოლის გადაღება, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში. გარდა ამისა, აღნიშნული ვიდეორგოლის საჯაროდ ჩვენება მოეწყო არჩევნების დღეს იმ საარჩევნო უბნებზე (კენჭისყრის ადგილის მიმდებარედ), სადაც საპილოტე პროექტი განხორციელდა.



ინფორმაცია კამპანიის შესახებ პერიოდულად ვრცელდებოდა რეგიონული მედიის საშუალებით. ასევე დამზადდა ვიდეორგოლი, რომელიც განთავსდა ცენტრალური ტელევიზიების ეთერებში, ცესკოს ვებგვერდსა და სოციალურ ქსელებში. კამპანიის დასრულების შემდეგ, 73 საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მომზადდა ინფორმირების კამპანიის „ვესაუბრებით ამომრჩევლებს“ ანგარიში, რომელიც განთავსდა ცესკოს ვებგვერდზე.

10 №1 მთაწმინდის, №6 სამგორის, №7 ჩუღურეთის, №9 ნაძალადევის, №12 გურჯაანის, №14 დედოფლისწყაროს, №18 ახმეტის, №21 გარდაბნის, №22 მარნეულის, №26 თეთრიწყაროს, №27 მცხეთის, №28 დუშეთის, №32 გორის, №35 ხაშურის, №40 ახალქალაქის, №41 ნინოწმინდის, №43 ონის, №45 ცაგერის, №47 მესტიის, №50 საჩხერის, №51 ზესტაფონის, №56 ჭიათურის, №57 ტყიბულის, №58 წყალტუბოს, №59 ქუთაისის, №60 ოზურგეთის, №62 ჩოხატაურის, №67 ზუგდიდის, №70 ფოთის, №79 ბათუმის, №81 ქობულეთის და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიები.

მიზანი 2.2 საარჩევნო კულტურის განვითარება

საქმიანობა 2.2.1 სასწავლო პროგრამების განხორციელება ჩართული მხარეებისთვის

2019 წლის 4-12 ივლისს, სწავლების ცენტრმა განახორციელა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ახალი საინფორმაციო-სასწავლო კურსი. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მიიღეს ცესკოში 2016-2018 წლების არჩევნებისთვის დამკვირვებლებად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ორდღიანი საინფორმაციო-სასწავლო კურსის მონაწილეები გაეცნენ არჩევნების შეფასების საერთაშორისო პრაქტიკას და განიხილეს შემდეგი საკითხები: სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი საარჩევნო პროცესში, სადამკვირვებლო ორგანიზაციების საარჩევნო ეთიკა და ქცევის კოდექსი, არჩევნების შეფასების საერთაშორისო სტანდარტები და პრინციპები, საარჩევნო ციკლი და დაკვირვების პრიორიტეტები, სადამკვირვებლო ორგანიზაციების როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, საარჩევნო დავები და მისი გამომწვევი მიზეზები, საარჩევნო დავების მოგვარების საერთაშორისო სტანდარტები.

ჩატარდა სამი სატრენინგო სესია, ტრენინგი გაიარა 34 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 62-მა წარმომადგენელმა, მათ შორის 30 (48%) იყო ქალი და 32 (52%) – კაცი.

საქმიანობა 2.2.2 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საარჩევნო შესაძლებლობების ინსტიტუციური გაძლიერება

2019 წლის 24-25 სექტემბერს, სამოქალაქო საარჩევნო განათლების პროექტების ეფექტიანად განხორციელების მიმართულებით ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, სწავლების ცენტრმა ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა – „პროექტის იმპლემენტაციის ფაზები, მონიტორინგი და ანგარიშგება“. შეხვედრაში მონაწილე, 2019 წლის 25 ივნისს, სწავლების ცენტრის მიერ საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: პროექტის იმპლემენტაციის ფაზები, პროექტის შედეგების ჯაჭვი, რისკების მართვა, პროექტის მონიტორინგის სისტემა და ანგარიშგება.


საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო 39 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 43 – მა წარმომადგენელმა, მათ შორის 21 (49%) იყო ქალი და 22 (51%) – კაცი.

ღია კარის დღე

საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით ახალგაზრდა ამომრჩევლების ცნობიერების ამაღლებისა და არჩევნების პოპულარიზაციის მიზნით 2019 წელს ცესკოში გაიმართა ექვსი ღია კარის დღე, კერძოდ:

- 2019 წლის 7 თებერვალი – არჩევნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგილი სწავლების ცენტრის საავტორო პროგრამის ბენეფიციარი სტუდენტებისთვის. მონაწილეობა მიიღო 21-მა სტუდენტმა, მათ შორის 15 (71%) იყო ქალი და 6 (29%) – კაცი;
- 2019 წლის 10 აპრილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის, გურამ თავართქილაძის უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მონაწილეობა მიიღო 12-მა სტუდენტმა, მათ შორის 8 (67%) იყო ქალი და 4 (33%) – კაცი;
- 2019 წლის 24 აპრილი – თბილისის 64-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. მონაწილეობა მიიღო 13-მა მოსწავლემ, მათ შორის 5 (38%) იყო ქალი და 8 (62%) – კაცი;
- 2019 წლის 9 მაისი – „საქართველოს დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ ორგანიზებით სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის;
- 2019 წლის 7 ივნისი – ორგანიზაციის „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრის“ პროექტში „ინფორმირებული ახალგაზრდობა ინკლუზიური არჩევნებისთვის ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში“ მონაწილე ახალგაზრდებისთვის. მონაწილეობა მიიღო 35-მა ახალგაზრდამ, მათ შორის 16 (46%) იყო ქალი და 19 (54%) – კაცი;
- 2019 წლის 22 ნოემბერი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მონაწილეობა მიიღო 18-მა სტუდენტმა, მათ შორის 13 (72%) იყო ქალი და 5 (28%) – კაცი.

აღნიშნული შეხვედრების ფორმატში ახალგაზრდებს ხვდებოდნენ ცესკოს ხელმძღვანელი პირები და მათ არჩევნების მნიშვნელობასა და საარჩევნო პროცესში მოქალაქეების ჩართულობის მნიშვნელობაზე ესაუბრებოდნენ. ახალგაზრდებისთვის ეწყობოდა იმიტირებული კენჭისყრის პროცესი. გარდა ამისა, ისინი ეცნობოდნენ ცესკოში არსებულ ისტორიულ ფოტო-გამოფენას, საარჩევნო ბიბლიოთეკას და იღებდნენ ინფორმაციას ისტორიული დოკუმენტებისა და არსებული მასალების შესახებ.







ღია კარის დღეები ცესკოში.

მიზანი 2.3 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა

საქმიანობა 2.3.1 საგრანტო კონკურსის ორგანიზება

ცესკოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულების შესაბამისად, სწავლების ცენტრმა 2019 წლის 18 თებერვალსა და 25 ივნისს, გამოაცხადა ორი საგრანტო კონკურსი. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა სულ დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 86 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა ჯამში შეადგინა 2 325 305.51 ლარი.

2019 წლის 18 თებერვალს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე შემოვიდა 63 საგრანტო განაცხადი. საგრანტო საკონკურსო კომისიის[11] გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების 47 პროექტი, დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 1 170 712.31 ლარი, რაც ცესკოს მიერ განსაზღვრული დაფინანსების შემდეგ, ორი მიმართულებით, შემდეგნაირად განაწილდა:

პირველი საკონკურსო თემატიკა: ამომრჩეველთა ინფორმირება 2019 წლის მაისში გასამართი საქართველოს პარლამენტის შუალედური, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს შუალედური და მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებისთვის. აღნიშნულ მიმართულებაზე შემოვიდა 29 საგრანტო პროექტი, დაფინანსდა 23 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა – 452 948.26 ლარი.

მეორე საკონკურსო თემატიკა: ახალგაზრდა ამომრჩევლების საარჩევნო ცნობიერების და სამოქალაქო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა. აღნიშნულ მიმართულებაზე შემოვიდა 34 საგრანტო პროექტი, დაფინანსდა 24 საგრანტო პროექტი. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა – 717 764.05 ლარი.

გამარჯვებულად გამოვლენილ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციის პირობებში სწავლების ცენტრმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა კონტრიბუციის სახით ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები პროექტების ბენეფიციარებისთვის, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოქალაქეებისთვის. შეხვედრების მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და ამომრჩევლებისთვის შეთავაზებული სერვისების შესახებ, მათ შორის დაგეგმილი საარჩევნო/ საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ.

11 საგრანტო საკონკურსო კომისია დაკომპლექტებულია შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახაზინო/საბიუჯეტო დაწესებულებების წარმომადგენლებით.

2019 წლის 25 ივნისს გამოცხადებულ საგრანტო კონკურსზე საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, სწავლების ცენტრმა დააფინანსა პროექტები ცესკოს მიერ განსაზღვრული დაფინანსების ერთ მიმართულებაზე.

საკონკურსო თემატიკა: ამომრჩეველთა განათლება საარჩევნო და სამოქალაქო კულტურის განვითარებისთვის. აღნიშნულ თემატიკაზე შემოვიდა 55 საგრანტო განაცხადი. საგრანტო საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე სწავლების ცენტრმა დააფინანსა 39 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. დაფინანსების ბიუჯეტმა შეადგინა 1 154 593.2 ლარი.

საგრანტო კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილ არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციის პირობებში, უზრუნველყოფილ იქნა კონტრიბუცია საარჩევნო ადმინისტრაციის მხრიდან, რომლის ფარგლებში საოლქო საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებმა ტრენინგები ჩაუტარეს საგრანტო პროექტის ბენეფიციარებს, რაც მიზნად ისახავდა მათი საარჩევნო ცნობიერების ამაღლებას შემდეგ საკითხებზე: დემოკრატიული საარჩევნო პროცესის სახელმძღვანელო პრინციპები, ამომრჩევლის ჩართულობა საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე და საარჩევნო უფლებების რეალიზების მექანიზმები, საარჩევნო ადმინისტრაციის და სხვა ჩართული მხარეების ფუნქციები და როლი ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად, საარჩევნო ადმინისტრაციასა და მოქალაქეებს შორის ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო არხები. 2019 წლის 16-19 სექტემბრის პერიოდში, სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის შესაბამისი ინსტრუქტაჟი ჩაატარეს.

პოლიტიკური პარტიების საბიუჯეტო დაფინანსების უზრუნველყოფა

პოლიტიკური პარტიების განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საფუძველზე, ცესკომ და სწავლების ცენტრმა უზრუნველყვეს პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, მათ შორის სწავლების ცენტრმა – სწავლებების, კონფერენციების, მივლინებების, რეგიონული პროექტების, ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო განათლების პროექტების განხორციელებისთვის ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (3).

ცხრილი 3.

N	მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დასახელება	დაფინანსება ცესკო	დაფინანსება სწავლების ცენტრი
1	ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო	2 081 040	336 676
2	თავისუფალი დემოკრატები	512 196	168 340
3	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	472 812	168 340
4	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	991 728	168 340
5	საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია	378 852	112 224
6	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	378 852	112 224
7	ევროპული საქართველო	1 036 128	168 340
8	მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის	507 176	168 340
9	დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო	241 620	84 168
10	თავისუფალი საქართველო	87 024	28 056
11	ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა	241 620	84 168
12	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	1 270 992	336 676
13	ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი	87 024	28 056
14	თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა	87 024	28 056
15	საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	87 024	28 056
16	ახალი ქრისტიან-დემოკრატები	87 024	28 056
17	მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის	195 512	84 168
18	სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველო	195 512	84 168
19	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს	600 000	168 340
	სულ	**9 539 160**	**2 384 792**

საქმიანობა 2.3.2 ცესკოში არსებულ სამუშაო ჯგუფებთან შეხვედრების გამართვა

ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG)

საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეების ინფორმირებისთვის, ცესკოში, გაიმართა ტექნიკური სამუშაო ჯგუფის (TWG) სამი შეხვედრა. სამუშაო ჯგუფის ფორმატის შესაბამისად სამუშაო ჯგუფის წევრები განიხილავდნენ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ საქმიანობებს, ასევე საარჩევნო პროცესში ჩართული სხვა მხარეების მიერ საარჩევნო მიმართულებით განხორციელებულ პროექტებსა და მიმდინარე საარჩევნო საკითხებს. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

შეხვედრებს დაესწრო 40 მონაწილე, მათ შორის 26 (65%) იყო ქალი და 14 (35%) – კაცი.



ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ცესკოში, გაიმართა ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ორი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე:

- 2019 წლის 3 მაისი – 2019 წლის 19 მაისის მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი საქმიანობების შესახებ. შეხვედრას დაესწრო 22 პირი, მათ შორის ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციის 13, სახელმწიფო უწყების ერთი და საარჩევნო ადმინისტრაციის რვა წარმომადგენელი;
- 2019 წლის 14 ნოემბერი – საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ამომრჩეველთა მიმართულებით გასათვალისწინებელი საქმიანობების შესახებ. შეხვედრას დაესწრო 23 პირი, მათ შორის ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციის 12, სახელმწიფო უწყებების ორი და საარჩევნო ადმინისტრაციის ცხრა წარმომადგენელი.



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი

საანგარიშო პერიოდში, ცესკოში, გაიმართა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ორი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე:

- 2019 წლის 20 მარტი – ცესკოს მიერ მომზადებული შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, რომელიც გულისხმობს ეტლით მოსარგებლე პირის მიერ, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ადაპტირებული საარჩევნო უბნის არჩევის შესაძლებლობის შესახებ. შეხვედრას დაესწრო 25 პირი, მათ შორის ადგილობრივი არასამთავრობო/ საერთაშორისო ორგანიზაციის 12, სახელმწიფო უწყებების ორი და საარჩევნო ადმინისტრაციის 11 წარმომადგენელი;
- 2019 წლის 12 ნოემბერი – საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020-2023 წლების სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობისა და 2020 წელს საარჩევნო ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის პროექტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართულებით გასათვალისწინებელი საქმიანობების შესახებ. შეხვედრას დაესწრო 26 პირი, მათ შორის ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციის 12, სახელმწიფო უწყებების სამი და საარჩევნო ადმინისტრაციის 11 წარმომადგენელი.

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო

საანგარიშო პერიოდში, გაიმართა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭოს ერთი შეხვედრა, სადაც საბჭოს წევრებმა განიხილეს ცესკოში ჩატარებული გენდერული აუდიტის დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების გზები.

ცესკოს ახალი ინიციატივა – „ვიმსჯელოთ ერთად“.

2019 წელს, ცესკომ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შესთავაზა ინიციატივა – „ვიმსჯელოთ ერთად”, რომლის ფარგლებში მხარეებს მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე პოზიციების გაცვლა და მსჯელობა შეეძლოთ. ერთიანი სადისკუსიო პლატფორმის ფარგლებში, საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამოქალაქო სექტორის ხელმძღვანელი პირები საარჩევნო ადმინისტრაციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს განიხილავდნენ.

აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ იმ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც დამკვირვებლის სტატუსით იყვნენ რეგისტრირებული 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის და ამავდროულად შეუერთდნენ 2018 წლის „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციათა ქცევის კოდექსით“ განსაზღვრულ პრინციპებს, ასევე საარჩევნო სფეროში მომუშავე საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2019 წლის განმავლობაში, აღნიშნულ ფორმატში გაიმართა ხუთი შეხვედრა, სადაც განიხილებოდა ეუთო/ოდირის მიერ გაცემული რეკომენდაციები საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების, საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ საარჩევნო დავების განხილვის, ხმის მიცემის ფარულობისა და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შესახებ.

> ინიციატივის ფარგლებში გამართული შეხვედრები მნიშვნელოვანი იყო. ამ შეხვედრების მიზანი იყო ერთი მხრივ, ცესკოს ზუსტად დაენახა, რას ფიქრობდნენ სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები სხვადასხვა პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც აღნიშნული იყო საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების ანგარიშებში. ძირითადად მივყვებოდით ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს და მეორე მხრივ, ჩვენ, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციას, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში რა შეგვეძლო რომ გაგვეკეთებინა.
>
> **თამარ ჭყონია, ცესკოს თავმჯდომარე**
>
> *2019 წლის 18 დეკემბერი, შეხვედრა ცესკოს ინიციატივის „ვიმსჯელოთ ერთად“ ფორმატში*





შეხვედრა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ცესკოს ინიციატივის „ვიმსჯელოთ ერთად“ ფორმატში.

ცესკოში გამართული შეხვედრები

შეხვედრა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან

2019 წლის 23 იანვარს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“, „მწვანე დედამიწის“ და „ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის“ ინიციატივით, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა აღნიშნული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს 2018 წელს ჩატარებული საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები.

შეხვედრა შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენლებთან

2019 წლის 28 იანვარს, ცესკოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ და ცესკოს პრეს-სპიკერმა გამართეს შეხვედრა შვეიცარიის საგარეო საქმეთა ფედერალური დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. შეხვედრის მონაწილეებმა შეაფასეს საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მიერ ეთიკის პრინციპებზე ხელის მოწერის ეფექტიანობა. აღნიშნული შეთანხმების პროცესს ცესკომ შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით გაუწია ფასილიტაცია.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის შედეგების პრეზენტაცია ცესკოში

2019 წლის 4 თებერვალს, ცესკოს თავმჯდომარემ, თავმჯდომარის მოადგილემ და კომისიის წევრებმა გამართეს შეხვედრა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლორა თორნტონთან. შეხვედრის მიზანი იყო საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების შესახებ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის[12] შედეგების გაცნობა.

შეხვედრა ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან

2019 წლის 11 მარტს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ და პრეს-სპიკერმა ანა მიქელაძემ გამართეს შეხვედრა ევროპის საბჭოს (CoE) არჩევნების მხარდაჭერის განყოფილების უფროსის მოადგილე გენადი კოსიაკთან და საქართველოს ოფისის საარჩევნო მხარდაჭერის პროექტის ოფიცერ მაია ჯორჯიკიასთან. შეხვედრის მონაწილეებმა ისაუბრეს 2019 წლის მაისში გასამართი არჩევნების შესახებ. ცესკოს თავმჯდომარემ ევროპის საბჭოს წარმომადგნელებს მიაწოდა ინფორმაცია იმ ოლქების შესახებ, სადაც დაგეგმილი იყო საკრებულოს, საქართველოს პარლამენტის შუალედური და მერის რიგგარეშე არჩევნების გამართვა.

შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებთან

2019 წლის 21 მარტს, ცესკოს თავმჯდომარემ და თავმჯდომარის მოადგილემ გამართეს შეხვედრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის

12 კვლევა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, დიდი ბრიტანეთის მთავრობის (UK Aid) ფინანსური ხელშეწყობით, CRRC-საქართველოს მიერ 2018 წლის 6-20 დეკემბრის პერიოდში ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით 2205 პირი გამოიკითხა.

სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ გერტ-ჰაინრიხ არენსთან და საარჩევნო საკითხებში მრჩეველ ოლექსი ლიჩკოვახთან. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნების საბოლოო ანგარიშში არსებული რეკომენდაციები.

შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან საქართველოში

2019 წლის 2 აპრილს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გამართა შეხვედრა ევროკავშირის ელჩთან საქართველოში, კარლ ჰარცელთან. ცესკოს თავმჯდომარემ შეხვედრაზე ისაუბრა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებსა და ცესკოს ინიციატივით შექმნილ, ახალ პლატფორმაზე – „ვიმსჯელოთ ერთად“. შეხვედრის დროს, ცესკოს თავმჯდომარემ ისაუბრა საგანმანათლებლო პროექტებზე, ახალგაზრდების ჩართულობაზე საარჩევნო პროცესებში და ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიაზე, რომელსაც ცესკო მუდმივად ახორციელებს.

შეხვედრა ტუნისის რესპუბლიკის დელეგაციასთან

2019 წლის 13 ივნისს, ცესკოში, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, ორგანიზაციის „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის (EECMD)“ ორგანიზებით, გამართა შეხვედრა ტუნისის რესპუბლიკის დელეგაციასთან, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც საპარლამენტო, ისე არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ცესკოს თავმჯდომარემ დელეგაციის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობისა და საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ. ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა, დელეგაციის წევრებს გაუზიარეს გამოცდილება შემდეგ საკითხებზე: საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, საარჩევნო სიის ფორმირება, ცესკოს აქტივობები საარჩევნო პროცესში შშმ პირთა და ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ზრდისთვის, ონლაინ რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა.

შეხვედრა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენლებთან

2019 წლის 24 ივლისს, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, თავმჯდომარის მოადგილე გიორგი შარაბიძემ გამართეს შეხვედრა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დეპარტამენტის, არჩევნებისა და დემოკრატიის პროგრამის ხელმძღვანელ სებასტიან ქოქუსთან, ადამიანური უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველ არმინ რაიზერთან და შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენელ მედეა ტურაშვილთან. მხარეებმა ისაუბრეს 2018 წლის წარმატებულ გამოცდილებაზე, შვეიცარიის საელჩოსთან თანამშრომლობის გაგრძელების პერსპექტივებსა და მომავალი არჩევნებისთვის საარჩევნო სუბიექტების ეთიკის პრინციპების შემუშავებაზე. თამარ ჟვანიამ შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე საარჩევნო რეფორმის შესახებ.

შეხვედრა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრებთან

2019 წლის 12 ივლისს, ცესკოს ხელმძღვანელმა პირებმა გამართეს შეხვედრა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის წევრებთან. ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს მათ მიერ მომზადებული წინადადება გენდერული კვოტირებისა და კვოტირების მექანიზმთან დაკავშირებულ საკანონმდებლო საკითხების შესახებ.

სტრატეგიული პრიორიტეტი 3

საარჩევნო გარემო




ცესკო

სტრატეგიული პრიორიტეტი 3: საარჩევნო გარემო

მიზანი 3.1 სამართლებრივი ჩარჩოს დახვეწაში მონაწილეობა

2019 წელს ცესკომ გამართა 51 სხდომა, გამოსცა 990 სამართლებრივი აქტი, მათ შორის:

- ცესკოს დადგენილება – 40;
- ცესკოს განკარგულება – 215.

ასევე გამოიცა:

- ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება – 22;
- ცესკოს მდივნის განკარგულება – 663.

საქმიანობა 3.1.1 2018 წელს ჩატარებული არჩევნების სამართლებრივი ანალიზი და რეკომენდაციები

ცესკომ შეისწავლა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები, რის საფუძველზეც განხორციელდა ამ აქტების ანალიზი და შესწავლის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღწერა. აღნიშნულის საფუძველზე მომზადდა ცესკოს თავმჯდომარის წერილები, რომლითაც საოლქო საარჩევნო კომისიებს გაეგზავნათ შენიშვნებისა და მათი გამოსწორების შესახებ სამომავლო რეკომენდაციები. გამოვლენილი ხარვეზების გაანალიზების საფუძველზე მომზადდა სხვადასხვა პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც გამოყენებულ იქნება საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის გასამართ სხვადასხვა ტრენინგზე.

მომზადდა საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესატანი ცვლილებები. საკანონმდებლო წინადადებების პაკეტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

საქმიანობა 3.1.2 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების ანალიზის განხორციელება

ცესკომ შეისწავლა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების ანგარიშების მიხედვით გაცემული რეკომენდაციები. დამუშავდა შემდეგი ორგანიზაციების – ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის

უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI), ასევე ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა (GYLA) და საერთო-სამოქალაქო მოძრაობის „მრავალეროვანი საქართველო“ (PMMG) ანგარიშები.

საქმიანობა 3.1.4 ცესკოს აპარატისა და საოლქო საარჩევნო კომისიების დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერება

2019 წლის 20 აპრილს, ცესკოს შენობაში არსებულ სატრენინგო ინფრასტრუქტურაში, ცესკომ და სწავლების ცენტრმა ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა იმ საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების, მდივნებისა და იურისტებისთვის, სადაც 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნები იმართებოდა. შეხვედრის მიზანი იყო საოლქო საარჩევნო კომისიების საარჩევნო დავებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესაძლებლობების გაძლიერება, რაც საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების რეკომენდაციებს ეხმიანებოდა.

შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს შემდეგი საკითხები: კენჭისყრის დღის განცხადებებთან/საჩივრებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება განცხადებებზე/საჩივრებზე, საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ორგანიზება, გადაწყვეტილების მომზადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით. მონაწილეები, ასევე, გაეცნენ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის არჩევნებზე საოლქო საარჩევნო კომისიების/კომისიების თავმჯდომარეების მიერ მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტების ანალიზის შედეგებს და მიიღეს შესაბამისი რეკომენდაციები.

საინფორმაციო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 12 საოლქო საარჩევნო კომისიის 31-მა ხელმძღვანელმა პირმა და იურისტმა, მათ შორის 15 (48%) იყო ქალი და 16 (52%) – კაცი.

საქმიანობა 3.1.6 საარჩევნო დავებზე სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზის ამსახველი სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავება

საარჩევნო დავებზე სასამართლოების გადაწყვეტილებების ანალიზის ჩასატარებლად დამუშავდა საარჩევნო დავებზე საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, განხორციელდა მათი ანალიზი, რომლის საფუძველზე მომზადდა სარეკომენდაციო დოკუმენტი და წარედგინა ცესკოს ხელმძღვანელობასა და წევრებს.

მიზანი 3.2 არჩევნების მთლიანობის (Integrity) უზრუნველყოფა

საქმიანობა 3.2.1 არჩევნების სანდოობის გეგმის განხორციელების შეფასება

არჩევნების სანდოობისა და მთლიანობის მართვას საარჩევნო ადმინისტრაცია ახორციელებდა არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის შესაბამისად. ცესკოს პრეს-სპიკერმა, ანა მიქელაძემ კოორდინაცია გაუწია აღნიშნული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესახებ ინფორმაციის მოგროვებას. ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა შეავსეს არჩევნების სანდოობის რისკების მართვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასების გეგმის დანართი, რომელიც მოიცავდა 2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის განხორციელებული საქმიანობების შესახებ ინფორმაციას.

მიზანი 3.3 ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა

საქმიანობა 3.3.1 საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადება ინკლუზიური საარჩევნო გარემოსა და ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ

ცესკომ, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით შეიმუშავა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის ხელშეწყობის შესახებ“ ინსტრუქციის პროექტი. ინსტრუქცია შედგება შემდეგი თავებისგან: წინასიტყვაობა, ტერმინები, საარჩევნო უბანი, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებში ეტლით მოსარგებლე ამომრჩეველთა მონაწილეობის დროებითი წესი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებთან საუბრისა და ქცევის ეტიკეტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის პროცედურა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის სტატისტიკის წარმოება.

სასწავლო ინსტრუქციის პროექტში ასახულია საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ეხება ეტლით მოსარგებლე პირების მიერ საარჩევნო უბნის არჩევის პროცედურებს, ხოლო აღნიშნული ცვლილება საქართველოს პარლამენტს ჯერ არ განუხორციელებია. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ინსტრუქციის პროექტზე მუშაობა დასრულდება 2020 წელს. რაც შეეხება საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადებას, აღნიშნული საქმიანობის განხორციელება დამოკიდებულია სასწავლო ინსტრუქციის შემუშავება/დამტკიცებაზე.

საქმიანობა 3.3.2 შშმ პირებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაძლებლობების შესწავლა

ცესკომ მოამზადა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლის მიერ რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, წინასწარი განაცხადის საფუძველზე, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი ერთ-ერთი ადაპტირებული საარჩევნო უბნის არჩევის შესაძლებლობას იძლევა, როგორც დროებითი ზომა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრები ცესკოში შექმნილი შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრებთან, ასევე, კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელი უწყებების წარმომადგენლებთან. საკანონმდებლო ცვლილების საბოლოო პროექტი გაეგზავნათ ცესკოში შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრებს. შეხვედრებზე წარმოდგენილი რეკომენდაციები ცესკომ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინა საბოლოო პროექტის მომზადების დროს. საკანონმდებლო წინადადების პროექტი, შესაბამის განმარტებით ბარათთან ერთად, გასაცნობად და განხილვის მიზნით წარედგინა ცესკოს. საკანონმდებლო წინადადება წარდგენილია საქართველოს პარლამენტში.

მიზანი 3.4 გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა

საქმიანობა 3.4.1 გენდერული აუდიტის ჩატარება

2019 წელს, ევროპის საბჭოსთან (CoE) თანამშრომლობით, ჩატარდა გენდერული აუდიტი. აუდიტის ჩატარებას კოორდინაცია გაუწია ცესკოს წევრმა ზურაბ ხრიკაძემ, რომელიც იმავდროულად არის საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს ხელმძღვანელი. გენდერული აუდიტი ჩატარდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც მოიცავდა საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობისა და საარჩევნო ადმინისტრაციის დოკუმენტების ანალიზს, თანამშრომლებთან ინტერვიუებსა და სემინარის ჩატარებას.

2019 წლის 24 ივნისს, გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც სერტიფიცირებულმა ფასილიტატორებმა, ცესკოს, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და სწავლების ცენტრის დირექტორს წარუდგინეს თანამონაწილეობრივი გენდერული აუდიტის კვლევის ანგარიში და განიხილეს აუდიტის მიზნები, ამოცანები, დასკვნები და რეკომენდაციები. ზურაბ ხრიკაძემ წარადგინა პრეზენტაცია ცესკოს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის გატარების პროგრესისა და გამოწვევების შესახებ. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს გენდერული აუდიტის მეთოდოლოგია და იმსჯელეს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების სამოქმედო გეგმის შესახებ.

საქმიანობა 3.4.2 გენდერული თანასწორობის ასპექტების ასახვა ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამებსა და მასალებში

სწავლების ცენტრმა უზრუნველყო საგანმანათლებლო პროექტების – „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“, „საარჩევნო განვითარების სკოლა“ და სემესტრული სასწავლო პროგრამა „საქართველოს საარჩევნო სამართალი“ სასწავლო მოდულებში გენდერული საკითხების ასახვა. სასწავლო პროგრამების შედგენისას მეტწილად გათვალისწინებული იყო საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის მიზნები და ამოცანები.

საქმიანობა 3.4.3 ახალი საინფორმაციო რესურსის შექმნა გენდერულ ჭრილში დამუშავებული საარჩევნო ინფორმაციის განსათავსებლად

გენდერულ ჭრილში დამუშავებული საარჩევნო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებისთვის და ცესკოს ვებგვერდზე ბანერის „გენდერული სტატისტიკა“ ადმინისტრირების მიზნით, ცესკოში მიმდინარეობდა მუშაობა გენდერული სტატისტიკის პორტალის შესაქმნელად. მომზადდა 2014-2019 წლებში ჩატარებული არჩევნების მიხედვით, გენდერულ ჭრილში დასამუშავებელი ცხრილები (Excel-ის ფორმატში). ასევე განხორციელდა იმ ინფორმაციის იდენტიფიცირება, რომელიც ცესკოში ელექტრონული პროგრამის საშუალებით მუშავდება. პროექტის სრულად განხორციელება დაგეგმილია 2020 წელს.

სემინარი „პოლიტიკაში ქალთა და მამაკაცთა მეტად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები“

2019 წლის 5 დეკემბერს, ევროპის საბჭომ (CoE) პროექტის „საარჩევნო პრაქტიკის რეფორმა საქართველოში“ ფარგლებში, ცესკოსთან თანამშრომლობით გამართა სემინარი – „პოლიტიკაში ქალთა და მამაკაცთა მეტად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები“ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისთვის.

ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ, თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ცესკოს სტრატეგიაზე ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით და ამ მხრივ არსებულ კარგ პრაქტიკაზე. მან სემინარის მონაწილეებს გააცნო საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, ხოლო ადმინისტრაციის მიერ წარმოებული გენდერული სტატისტიკა წარადგინა ცესკოს წევრმა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ხრიკაძემ.

სემინარზე ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტებმა მონაწილეებს გააცნეს გენდერულ ჭრილში ევროპის საბჭოს სტანდარტები და პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა მეტად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არსებული მექანიზმები.

დღეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კონფერენცია იმ თვალსაზრისით, რომ ხდება გენდერული თანასწორობის საკითხების განხილვა, ქალთა თანაბარი მონაწილეობის მიმართულებით. ვინაიდან გენდერულ საკითხებზე მუშაობამ ნათლად აჩვენა, რომ პოლიტიკური პარტიების როლი ქალთა თანაბარი მონაწილეობის და პოლიტიკურ პოზიციებზე ყოფნის კუთხით არის უაღრესად მნიშვნელოვანი. ეს არის ამავდროულად საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაც.

თამარ შვანია, ცესკოს თავმჯდომარე

2019 წლის 5 დეკემბერი, სემინარი „პოლიტიკაში ქალთა და მამაკაცთა მეტად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები“

ეს არის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი პლატფორმა, სადაც რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გაცვლა ხდება იმ მიმართულებით, რასაც ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ჩართულობა ჰქვია. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური პარტიების შიდა პარტიული პოლიტიკა ამ მიმართულებით.

ჯრისტიან ურსე
ევროპის საბჭოს (CoE) ოფისის ხელმძღვანელი

2019 წლის 5 დეკემბერი, სემინარი „პოლიტიკაში ქალთა და მამაკაცთა მეტად დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები“





ევროპის საბჭოსა და ცესკოს ერთობლივი კონფერენცია გენდერულ საკითხებზე.

სტრატეგიული პრიორიტეტი 4

საარჩევნო ოპერაციები





სტრატეგიული პრიორიტეტი 4: საარჩევნო ოპერაციები

მიზანი 4.1 არჩევნების ორგანიზება/ჩატარება

საქმიანობა 4.1.1 შუალედური/რიგგარეშე არჩევნების ორგანიზება/ჩატარება

2019 წელს საარჩევნო ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი არჩევნები:

- 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნები
- 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნები

საარჩევნო ადმინისტრაციამ, საარჩევნო პროცესი წარმართა კანონმდებლობის სრული დაცვითა და დამტკიცებული საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის შესაბამისად. ცესკომ, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქართველოს პარლამენტს წარუდგინა ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიშები, გარდა ამისა, ანგარიშები გამოქვეყნდა ცესკოს ვებგვერდზე.[13]

საქმიანობა 4.1.2 არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარი/მასალების შეძენა

2019 წელს ჩატარებული არჩევნების მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფისთვის, ამომრჩეველთა რაოდენობისა და არსებული მარაგების გათვალისწინებით, განისაზღვრა არჩევნების ჩასატარებლად შესაძენი საქონლის/მომსახურების რაოდენობა/მოცულობა. ცენტრალიზებულად განხორციელდა არჩევნებისთვის საჭირო ინვენტარის განაწილება იმ საოლქო საარჩევნო კომისიებზე, სადაც ჩატარდა არჩევნები.

2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში, საარჩევნო პერიოდში სულ გაფორმდა 71 ხელშეკრულება, ხოლო 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნებისთვის – ცხრა ხელშეკრულება.

ამომრჩეველთა ერთიანი სია

2019 წელს, ცესკომ უზრუნველყო საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ყველა უწყებიდან, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,

13 2019 წელს ჩატარებული არჩევნების შესახებ ანგარიშები იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/geo/elections/2019

საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ ამომრჩეველთა შესახებ გადმოცემული მონაცემების დამუშავება (ძირითადი და ფაქტობრივი მისამართების ინტეგრირება ცესკოს მონაცემთა ბაზასთან) და ამომრჩეველთა სიის ფორმირება. 2019 წელს, ამომრჩეველთა ერთიანი სია შვიდჯერ განახლდა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში (4).

ცხრილი 4.

	ამომრჩეველთა რაოდენობა	ქალი	კაცი
01.02.2019 მდგომარეობით	3 506 288	1 882 352	1 623 936
01.05.2019 მდგომარეობით	3 506 793	1 880 084	1 626 709
15.07.2019 მდგომარეობით	3 506 853	1 879 757	1 627 096
01.11.2019 მდგომარეობით	3 514 426	1 883 602	1 630 824
2019 წლის 19 მაისს გამართული საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები	43 908	25 437	18 471
2019 წლის 19 მაისს გამართული მუნიციპალიტეტების მერების რიგგარეშე არჩევნები	342 516	177 114	165 402
2019 წლის 19 მაისს გამართული საკრებულოების შუალედური არჩევნები	21 413	11 477	9 936
2019 წლის 19 მაისს გამართული საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები (მეორე ტური)	43 909	25 432	18 477
2019 წლის 27 ოქტომბერს გამართული საკრებულოების შუალედური არჩევნები	6 798	3 345	3 453

ამომრჩეველთა ერთიან სიაში, პირადი და ოჯახის წევრების მონაცემებისა და საარჩევნო უბნის ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად, ცესკოს მიერ შეთავაზებული სერვისებით, 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში, ამომრჩეველმა ისარგებლა 4 107 310-ჯერ, აქედან, ცესკოს ვებგვერდის voters.cec.gov.ge საშუალებით – 4 051 210-ჯერ, Android და iOS ოპერაციული სისტემის გამოყენებით – 56 100-ჯერ.

მიზანი 4.2 არჩევნების შედეგების გასაჯაროება უმოკლეს დროში



საქმიანობა 4.2.1 თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის პილოტი კენჭისყრის დღეს ხმის დათვლის პროცესში

საარჩევნო ადმინისტრაციამ, კანადური არასამთავრობო ორგანიზაციის „The DELIAN Project“[14]-ის მხარდაჭერით, 2019 წლის 19 მაისს, წყალტუბოსა და ტყიბულის საარჩევნო ოლქების რვა საარჩევნო უბანზე გამართა ხმის ელექტრონული მიცემისა და დათვლის საპილოტე პროექტის შემდეგი ეტაპი. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების მიზნით, „The DELIAN Project“-მა ცესკოს უსასყიდლოდ გადმოსცა ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის რვა მანქანა, რვა საარჩევნო ყუთი და ბიულეტენებისთვის განკუთვნილი ოპტიკური სკანერი. ცესკოში იმყოფებოდნენ კანადელი ტექნიკოსები/მრჩევლები, რომლებმაც უზრუნველყვეს ცესკოს თანამშრომლების გადამზადება, ტექნიკური საშუალებების გამართვა და სისტემის ტესტირება.



საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 185[16] მუხლის თანახმად, ცესკოს მიეცა უფლება, გარდამავალ პერიოდში, საპარლამენტო არჩევნებამდე, საარჩევნო პროცესში განეხორციელებინა გარკვეული პროცედურები ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, რის საფუძველზეც, პირველი ეტაპის გამოცდილების გათვალისწინებით, საარჩევნო ადმინისტრაციამ შეიმუშავა ახალი პროცედურები საპილოტე პროექტის შემდეგი ეტაპის განსახორციელებლად.




შემუშავდა საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური ჩარჩო-კონვერტების ფორმები. უსინათლო ამომრჩევლებისთვის დამზადდა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა.

➔

ცესკომ მოამზადა და ვებგვერდზე განათავსა ვიდეო ინსტრუქცია[15] ხმის ელექტრონული მიცემისა და დათვლის საპილოტე პროექტისთვის. კენჭისყრის დღეს, ვიდეორგოლის ტრანსლირება ხდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შენობებში.

ცესკოსა და სწავლების ცენტრის წარმომადგენლებმა გადაამზადეს ტყიბულისა და წყალტუბოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ხმის მიცემისა და დათვლის ახალი წესისა და სპეციალური ავტომატური ხმის მიცემისა და დათვლის მანქანის გამოყენების შესახებ. ასევე, საოლქო საარჩევნო კომისიებმა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოაწყვეს შეხვედრები ამომრჩევლებთან, სადაც დეტალურად გააცნეს მათ ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანის მოხმარების წესები. საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები და ცესკოს წარმომადგენლები საჭიროების შემთხვევაში, მზად იყვნენ დახმარებოდნენ და დამატებითი ინსტრუქტაჟი გაეწიათ თითოეული ამომრჩევლისთვის. ცესკომ, ტყიბულისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტების საკრებულოების შუალედურ არჩევნებში მონაწილე პარტიების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს გააცნო ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია და დამსწრეთა მონაწილეობით გამართა პრაქტიკული ინსცენირება.

პროექტის პირველი ეტაპისგან განსხვავებით, ძირითად საარჩევნო ყუთს ჰქონდა ნამდვილი და ბათილი საარჩევნო ბიულეტენებისთვის განკუთვნილი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სექციები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა მონაცემების გადამოწმების პროცესს. პროექტის პირველ ეტაპის შეფასების შედეგად აღნიშნული პილოტისთვის საარჩევნო ბიულეტენი შემუშავდა ახალი დიზაინით, მომზადდა საარჩევნო ბიულეტენის გამოყენების წესი, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა შეცდომების ალბათობა.



ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანა, საარჩევნო ბიულეტენი, ძირითადი საარჩევნო ყუთის სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, გადასატანი საარჩევნო ყუთის სპეციალური ჩარჩო-კონვერტი.

14 Delian project – არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაარსებულია კანადის საარჩევნო მოხელეთა მიერ, კანადის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და მსგავს პროექტებს მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს. ის არის კლინტონის გლობალური ინიციატივის წევრი და გაეროს გლობალური შეთანხმების (United Nations Compact) ხელმომწერი ორგანიზაცია.

15 ვიდეო ინსტრუქცია იხილეთ ბმულზე: http://cesko.ge/geo/video_gallery/show/1629/778.

საარჩევნო ბიულეტენის განთავსება ყუთში ხორციელდებოდა ყუთზე დამონტაჟებული აპარატის მეშვეობით. ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანა ახდენდა ბიულეტენის სკანირებას და ითვლიდა მონაწილეთა და ხმების რაოდენობას, ხოლო ეკრანზე ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობა. ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანა დამოუკიდებლად ამუშავებდა და ინახავდა ინფორმაციას და არ იყო დაკავშირებული არც გლობალურ და არც ლოკალურ ქსელთან.

ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანიდან ამობეჭდილი, დათვლილი ხმების შესახებ, ელექტრონული მონაცემების საინფორმაციო ფურცლები არ წარმოადგენდა არჩევნების წინასწარ შედეგებს. მნიშვნელოვანია, რომ ავტომატური ხმის მიცემის და დათვლის მანქანის მიერ ზუსტად იქნა დათვლილი შედეგები. საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ კანონმდებლობის თანახმად, შემდგომში ხელით დათვლილი შედეგები დაემთხვა ელექტრონულს, რითაც ფაქტობრივად დადასტურდა ელექტრონული დათვლის სიზუსტე და საპილოტე პროექტის წარმატებით განხორციელება.

ელექტრონული ხმის დათვლის საპილოტე პროექტი, შემდგომში მისი გამოყენების მიზანშეწონილობის მიზნით, შეფასდება როგორც ამომრჩეველთა ქცევის, ისე საარჩევნო პროცესის დეტალური ანალიზის შემდეგ ჩართულ მხარეებთან და ფართო საზოგადოებასთან ერთად.

> 2018 წელს ცაიშში სამ საარჩევნო უბანზე ჩატარებული არჩევნები იყო ძალიან კარგი გამოცდილება საარჩევნო ადმინისტრაციისთვის, ვინაიდან პირველმა მცდელობამ დაგვანახა ბევრი რამ – რა იყო კარგი, რა იყო გამოსასწორებელი, რა კუთხით უნდა გაგვეუმჯობესებინა შემდეგი ეტაპი და შემდეგი პილოტი. ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ და გთავაზობთ, არის სწორედ იმ გამოცდილებაზე დაფუძნებული, რომელიც ჩვენ პირველ ჯერზე მივიღეთ. თუმცა ამ ეტაპზე, ესეც არის კვლევისა და შემდგომი შესწავლის მიზნებისთვის, ვინაიდან აქაც შეიძლება გამოჩნდეს ის საკითხები, რაც სამომავლოდ ყველამ ერთად უნდა გავითვალისწინოთ საარჩევნო პროცესში.
>
> **თამარ ჟვანია, ცესკოს თავმჯდომარე**
>
> *2019 წლის 8 მაისი, შეხვედრა ხმის ელექტრონული დათვლის საპილოტე პროექტთან დაკავშირებით*

მიზანი 4.3 ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის დროულად მიწოდება

საქმიანობა 4.3.1 არჩევნების შედეგების სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება

2019 წელს გამართული, ყველა არჩევნების წინასწარი და საბოლოო შედეგები, ცესკომ საზოგადოებას დროულად მიაწოდა.

- 2019 წლის 19 მაისის შუალედური/რიგგარეშე არჩევნების პირველი ტურის წინასწარი შედეგები ცესკოს თავმჯდომარემ, თავდაპირველად, 20 მაისს, 01:30 საათზე წარადგინა, ხოლო 11:00 საათზე, ცესკოს პრეს-სპიკერმა არჩევნების წინასწარი შედეგები 410 საარჩევნო უბნის მიხედვით ბრიფინგზე წარადგინა. ყველა ბრიფინგი ჩატარდა სურდოთარგმანის თანხლებით, ხოლო მეორე ტურის წინასწარი შედეგები – ცესკოს თავმჯდომარემ 9 ივნისს, 23:30 საათზე, ყველა, 31-ვე საარჩევნო უბნის მიხედვით, სპეციალურ ბრიფინგზე წარადგინა;
- 2019 წლის 27 ოქტომბრის შუალედური არჩევნების პირველადი შედეგების გამოქვეყნება დაიწყო 27 ოქტომბრის 23:55 საათიდან. 28 ოქტომბერს 00:50 საათზე, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსდა ინფორმაცია საკრებულოების შუალედური არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ.

არჩევნების შედეგებს ცესკო აქვეყნებდა სპეციალურ ვებგვერდზე http://results.cec.gov.ge/. კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ, არჩევნების მართვის სისტემაში „არმასი“ ხორციელდებოდა საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების ატვირთვა. თითოეული საარჩევნო უბნის შემაჯამებელი ოქმი, მიღებისთანავე, იტვირთებოდა ვებგვერდზე.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი

ცესკო ოპერატიულად აწვდიდა საზოგადოებას და ჩართულ მხარეებს არჩევნებთან დაკავშირებულ ზუსტ ინფორმაციას, ამისთვის შექმნილი ფორმატების მეშვეობით. ასევე, ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

ცესკოს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფდა დაინტერესებული პირების ინფორმირებას საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით. 2019 წლის განმავლობაში სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით დაინტერესებულმა პირებმა ისარგებლეს 4 538-ჯერ, აქედან: განხორციელდა 2 366 შემოსული ზარი, 294 – გამავალი ზარი, 1 409 – ონლაინ ჩატი და გაიგზავნა 190 მოკლე ტექსტური შეტყობინება, გაეცა პასუხი არასამუშაო საათებში დატოვებულ 256 კითხვას და 23 ხმოვან შეტყობინებას.

დასკვნა

საარჩევნო ადმინისტრაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმით, დაგეგმილი იყო 68 საქმიანობის განხორციელება, რომლებიც ძირითადად სრულყოფილად და დროულად შესრულდა. ინდიკატორების შეფასების ჭრილში, სრულად განხორციელდა 53 საქმიანობა.

2019 წელს ნაწილობრივ განხორციელდა შემდეგი 12 საქმიანობა და მათი შესრულება დაგეგმილია 2020 წელს:

- 1.1.1 საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესის გადახედვა/დახვეწა (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 5.1.3.1);
- 1.1.8 ცესკოს, საოლქო საარჩევნო კომისიებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომუნიკაციის სისტემის გაუმჯობესება (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 5.1.5.1);
- 1.1.10 ადმინისტრაციის ქონების/მარაგების აღრიცხვის სისტემის გაუმჯობესება;
- 1.1.13 არჩევნების დროს საოლქო საარჩევნო კომისიებში და საარჩევნო უბნებზე გამოვლენილი ინციდენტების ანალიზი (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 2.2.1.3);
- 1.1.14 შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 5.1.4.5);
- 1.3.1 საარჩევნო პროცესებში თანამედროვე ელექტრონული პროგრამების შექმნა, ჩართვა და გამოყენება;
- 1.3.4 დაგეგმარებისა და ანგარიშგების ელექტრონული პროგრამის შექმნა (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 5.1.3.1);
- 1.3.5 ცესკოს სხდომების ელექტრონული მართვის შესაძლებლობის შესწავლა/დანერგვა (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 3.1.2.1);
- 1.3.7 თანამშრომლობა შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან საარჩევნო უბნების განთავსების მიზნით (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 3.1.2.4);
- 3.2.1 არჩევნების სანდოობის გეგმის განხორციელების შეფასება
- 3.3.1 საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების გადამზადება ინკლუზიური საარჩევნო გარემოსა და ადაპტირებული საარჩევნო უბნების შესახებ (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 4.1.2.3);


- 3.4.3 ახალი საინფორმაციო რესურსის შექმნა გენდერულ ჭრილში დამუშავებული საარჩევნო ინფორმაციის განსათავსებლად (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 4.2.1.1).

არ განხორციელდა ორი საქმიანობა:

- 1.4.6 სხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით პროექტებისა და პროგრამების განხორციელება (მიზეზი: სხვა ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მოთხოვნა არ ყოფილა);
- 3.1.3 დავების სახელმძღვანელოსა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დოკუმენტის განახლება შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან მიმართებაში (მიზეზი: საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ცვლილებები არ განხორციელებულა).

შეჩერდა და გადავადდა ერთი საქმიანობის განხორციელება:

- 2.2.3 საჯარო მოხელეებისთვის სასწავლო კურსის „საარჩევნო კამპანია და ადმინისტრაციული რესურსები“ განხორციელება (საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2020 წლის სამოქმედო გეგმა, საქმიანობა 1.1.2.1).



გარდა გეგმით გათვალისწინებულისა, ცესკოს სტრუქტურულმა ერთეულებმა და სწავლების ცენტრმა განახორციელეს სხვა საქმიანობები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საარჩევნო ადმინისტრაციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლებას, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს განვითარებასა და ჩართული მხარეებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული ზუსტი ინფორმაციის, დროულად მიწოდებას.

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები

ამომრჩეველთა სიებისა და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტი
გიორგი სეხნიაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული დეპარტამენტი
გიორგი ძაგანია, დეპარტამენტის უფროსი

საერთაშორისო და ადმინისტრაციული დეპარტამენტი
ელისაბედ ველიძე, დეპარტამენტის უფროსი

საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ქეთევან დანგაძე, დეპარტამენტის უფროსი

საფინანსო დეპარტამენტი
ოთარ ბუსკივაძე, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი
კახაბერ შამუხაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

კოორდინაციის, დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტი
სოფიო სიჭინავა, დეპარტამენტის უფროსი

შიდა აუდიტის და შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი
ვალერიან მაისურაძე, დეპარტამენტის უფროსი

ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი
გიორგი კალანდარიშვილი, დეპარტამენტის უფროსი

საარჩევნო კომისიებთან ურთიერთობის დეპარტამენტი
ეკა ცაბაშვილი, დეპარტამენტის უფროსი

პრეს-სპიკერი
ანა მიქელაძე

თავმჯდომარის მრჩევლები
თამაზ შარმანაშვილი
ავთანდილ ცისკარიძე

ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი
ირაკლი თვალიაშვილი

სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
ნათია ზაალიშვილი, სწავლების ცენტრის დირექტორი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, ჩეფორმებისა და სწავლების ცენტრის საქმიანობის

2019 წლის ანგარიში